დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სსიპ- შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაბელაშვილების საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: **თამარ აბაზაძე**–ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი.

წევრები:
თამარ სურმანიძე– ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
თეა ნინუა –საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
მინდია მაცაბერიძე –საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ქეთევან ბერიძე –უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
სოფიო გელაშვილი– ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
მარინე ჩიტაძე– ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
ნანა შალამბერიძე– სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ნონა გორგილაძე –მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
კობა დეკანაძე – სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
ნინო ჯოჯიშვილი –ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაბელაშვილების საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	247861595

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	შუახევის მუნიციპალიტეტი სოფელი ხაბელაშვილები
ფაქტობრივი მისამართი	შუახევის მუნიციპალიტეტი სოფელი ხაბელაშვილები
საფოსტო ინდექსი	6300
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	khabelashvilebi@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	არ აქვს

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 8 26 0000232963 26.02.2026 (ცვლილება 2026 წლის 23 მარტის N343560)
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	26-27 მარტი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული ენა	შუახევის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხაბელაშვილები. (1 შენობა)
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული ენა	შუახევის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხაბელაშვილები. (1 შენობა)
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული ენა	შუახევის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხაბელაშვილები. (1 შენობა)

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაბელაშვილების საჯარო სკოლში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი 2026 წლის 26-27 მარტს განხორციელდა. სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალებს, რის საფუძველზეც ექსპერტებმა გამოვითხოვეთ დამატებითი დოკუმენტაცია, შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და გასაცნობად გადაეგზავნა სკოლას. ვიზიტის განმავლობაში დაწესებულების წარმომადგენლებმა გამოიჩნეს თანამშრომლობის კულტურა. შეფასება განხორციელდა კეთილგანწყობილ და საქმიან გარემოში, წარიმართა საინტერესო მსჯელობა დაწესებულების საუკეთესო გამოცდილების გაზიარებისა და საგანმანათლებლო პროცესის შესწავლის მიზნით. ექსპერტების მიერ განხორციელდა სკოლის ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობების დადგენა. დათვალიერდა სკოლის ინფრასტრუქტურა. ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ დირექციის წარმომადგენლებს, პედაგოგებს და ადმინისტრაციულ პერსონალს. გასაუბრება შედგა საგნის მასწავლებლებთან. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი აქტიურად იყო ჩართული აღნიშნულ პროცესში. ინტერვიუს დასრულებისას ექსპერტებისგან სკოლას მიეცა რჩევები. ვიზიტის დასრულებისას ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: **----------** **70**	**ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება** ☒	***აღწერა*** ***(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)***
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
N 3.1.2.4.	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს	რეკომენდაცია: უზრუნველყოს სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (27.03.2026-10.09.2026) კანონმდებლობით დადგნილი კვალიფიციური კადრის დასაქმება აღნიშნულ პოზიციაზე.
N3.4.1.2.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას	რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (07.05.2026-10.09.2026) ხელოვნური ბარიერის (გამყოფი პანელი, ტიხრული შირმა) შეძენა.
N3.4.1.2.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას	რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტიის მერიის სამსახურის დახმარებით, შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადებში 2028 წლის 10.09. თემის ამბულატორიის „სოფლის სახლში" გადატანა.
ინდიკატორი N3.5.1.4.	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში რესურს ოთახის, ადაპტირებული სველი წერტილის და შიდა კიბეებზე ადაპტირებული ასასვლელი პანდუსის მოწყობა.(2026წლის იანვარი-2028წლის იანვარი)
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო, საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N 2.2.2.3.	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა. (2026 წლის იანვარი-2027 წლის იანვარი)

N2.2.2.4.	**სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.**	**რეკომენდაცია:** შესაბამისობის გეგმის მიხედვით აღნიშნულ ვადებში (27.03.2026-10.09.2026) სკოლამ უზრუნველყოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისი ადამიანური რესურსის მობილიზება;

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო სასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N 1.1.1.1.	**სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.**	**რჩევა:** დაწესებულებას მიეცა რჩევა, მკაფიოდ გამოკვეთოს და განსაზღვროს ორგანიზაციის მისია. სასურველია სკოლის იდენტობის გამოვლენის მიზნით წარმოაჩინოს სკოლის ძლიერი მხარეები.
ინდიკატორი: N 1.1.1.5.	**სკოლის მისია,ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**	**რჩევა:** სასურველია სტილისტურად დამუშავდეს და გაიმართოს ვებ. გვერდზე განთავსებული მისია.
ინდიკატორი: N 1.2.1.2	**სკოლის დაგეგმვა და განვითარება. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს(ფილოსოფიას) ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს.**	**რჩევა:** გადაიხედოს და ჩასწორდეს მეთოდოლოგიის მე-8 თავის, 16 მუხლით გათვალისწინებული პირობები (მეთოდოლოგიის დოკუმენტს ამტკიცებს სკოლის დირექტორი) შესაბამისობაში მოვიდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერებ მინისტრის 2007 წლის 31 აგვისტოს N785 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლის დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობების" მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის პირობებთან.
N 1.2.2.2.	**მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა**	**რჩევა:** სასურველია განხორციელდეს სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი. მიზნებიდან გამომდინარე აქტივობების შემუშავების დროს გათვალისწინებულ იქნას პედაგოგთა და მშობელთა მოსაზრებები, რომელიც უშუალოდ სკოლის საჭიროებებზ იქნება მორგებული.

	დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით	
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
N.3.1.1.1	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული	**რჩევა:** სკოლის ვებ გვერდზე, გრაფიკული სტრუქტურა, რომელიც განსაზღვრავს სკოლის სტრუქტურას, აისახოს დებულებაში გათვალისწინებული ყველა სტრუქტურული ერთეული და თანამდებობრივი პოზიცია. კერძოდ, სქემაში ადმინისტრაციულ დარგში სტრუქტურულ ერთეულად არ იყო ასახული საქმის მწარმოებელი, ექთანი და ბიბლიოთეკარი
N3.1.1.2.	სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას	**რჩევა:** სასურველია დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ხარისხის მართვის ჯგუფთან ერთად დაადგინოს პედაგოგთა პროფესიულ საჭიროებები და ამის შესაბამისად დაგეგმოს მათი განვითარებისთვის საჭირო სამუშაო შეხვედრები უზრუნველყოს მათი გეგმაზომიერად განხორციელება, ზედამხედველობა გაუწიოს კათედრების მუშაობას
N 3.1.2.5.	პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს	**რჩევა:** სასურველია მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპი გათვალისწინებულ იყოს სასკოლო კურიკულუმების შემუშავებისას
N 3.2.1.1.	სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები	**რჩევა:** სასურველია სკოლამ პროცესი წარმართოს, სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტის მე-19 მუხლი შესაბამისად, დასაქმებულთა განვითარებისა და მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის მიზნით
N 3.2.1.2.	პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად	**რჩევა:** სასურველია, სკოლამ განსაზღვროს პროფესიული განვითარების პროცესში შესაძლო გამოწვევები და შექმნას სისტემური მონიტორინგისა და გაკვეთილებზე დასწრების გეგმა. ეს უზრუნველყოფს საქმიანობის შედეგების მიზნობრივ ანალიზს, საჭიროებების დროულ გამოვლენას და თანამშრომელთა პროფესიული მხარდაჭერის ეფექტიან დაგეგმვას, რაც დადებითად აისახება როგორც პროფესიულ დონეზე, ისე სკოლაში შიდა მართვის კულტურაზე.
N 3.3.2.1.	სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების,	**რჩევა:** სასურველია სკოლამ შეიმუშაოს პროცედურები უკუკავშირის მიღებისა და რეაგირებისათვის, რაც საშუალებას მისცემს ადმინისტრაციას ეფექტურად გაითვალისწინოს სასკოლო საზოგადოების მოსაზრებები, საჭიროებები და

	უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები	*ინიციატივები, გააძლიეროს მართვის პროცესების გამჭვირვალობა და გაზარდოს საზოგადოების ჩართულობა სკოლაში*
N 3. 4. 1. 1.	**სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**	**რჩევა:** *-სასურველია სკოლამ აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი;*
N3.4.1.1.	**სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ**	**რჩევა:** *სასურველია დროულად მოწესრიგდეს საჯარო სკოლის შენობა-ნაგებობის სანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა, სშსს აქტი N134 -ით გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად.*

	გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	
N3.4.1.6.	**სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**	**რჩევა:** *სასურველია მშობელთან გაფორმდეს განახლებული ხელშეკრულებები, რითაც გასწორდება ხარვეზი მონაცემების დამუშავების თანხმობის განცხადების ფორმასთან დაკავშირებით.*
N 3.4.1.8.	**სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**	**რჩევა:** *სასურველია უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების შესამოწმებლად პერიოდულად ჩატარდეს გამოკითხვა (შესაძლოა ანონიმური), ხოლო პროცესზე დაკვირვების მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, განახორციელდეს დაკვირვების ფორმების შემუშავება. მიღებული შედეგების და ანალიზის დოკუმენტირება, საშუალებას იძლევა შეფასდეს უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების ეფექტურობა.*
N 3.6.1.2.	**ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**	**რჩევა:** *სასურველია სკოლამ, სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის თანაბრად ხელმისაწვდომობისა და მიზნობრივად გამოყენების უზრუნველსაყოფად, შეიმუშაოს უფრო დეტალური შიდა რეგულაცია და დაარეგულიროს ტექნიკით სარგებლობის პირობები (სარგებლობის მიზნების, უსაფრთხოების ზომების, მოსარგებლის უფლებებისა და მოვალეობების, პასუხისმგებლობის ფორმების და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების მითითებით).*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	
N4.2.2.1.	**კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის.**	**რჩევა:** *სკოლამ მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომი უნდა გახადოს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება, რისთვისაც შეიძლება როგორც შესაბამისი აქტივობების ინტეგრირება სადამრიგებლო პროგრამაში/კურიკულუმებში, ასევე შესაძლებელია გააფორმოს მემორანდუმი დაბაში არსებულ პროფესიულ სასწავლებელთან და განახორციელოს მრავალფეროვანი, თემატური აქტივობები სხვადასხვა პროფესიების გაცნობისა და პოპულარიზაციის მიზნით.*
N 4.2.2.3.	**სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**	**რჩევა:** *პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის საკითხებზე გაწეული მომსახურების ხარისხის შემოწმების მიზნით, სკოლამ აწარმოოს პერიოდული გამოკითხვა და შედეგების ანალიზის დოკუმენტირება. ასევე, მიღებული შედეგების გათვალისწინებით შეადგინოს მომდევნო წლის გეგმა.*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(საბაზო,საშუალო საფეხური)*	*რჩევა*

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისობის გეგმა და ამსახველი დოკუმენტაცია. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა აღნიშნული დოკუმენტები, სრულად გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა მიიჩნია რელევანტურად. ვიზიტის შედეგად ექსპერტთა ჯგუფის მიერ ხარვეზი დაფიქსირდა მესამე სტანდარტის ინდიკატორ N3.1.2.1. N3.1.2.4. N3.4.1.1 N3.4.1.2. N3.4.1.6 და მეორე სატნდარტის (დაწყებითი საფეხური) ინდიკატორი N2.2.2.4. მიმართებით. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში განმარტა, რომ სრულად ეთანხმება აღნიშნულ ხარვეზებს. წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა ხარვეზების გამოსასწორებლად და მტკიცებულებები გამოსწორებული ხარვეზების შესახებ. ცვლილებები აისახა დასკვნაში. კერძოდ:

მე 3 სტანდარტი

ინდიკატორი N3.1.2.1.

სკოლაში თანამშრომელთა, მათ შორის დირექტორისა და ადმინისტრაციული პერსონალის (საქმისმწარმოებლის), სამუშაო/საათობრივი დატვირთვის განსაზღვრა არ ეფუძნებოდა სრულად მოქმედი კანონმდებლობითა და შიდა რეგულაციებით დადგენილ მოთხოვნებს. კერძოდ, დატვირთვები არ იყო სათანადოდ დასაბუთებული და არ იყო საგანმანთლებლო რესურსცენტრთან შეთანხმებული

სკოლამ წარმოადგინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანო შუახევის რესურსცენტრის 2026 წლის 31.03.-ის წერილი MES5260000384034 და 15.04.-ის წერილი MES9260000431918 საგაკვთილო საათის განსაზღვრის შესახებ.

ინდიკატორი N3.1.2.1.-ის შეფასება შეუსაბამოდან გადავიდა შესაბამისობაში.

ინდიკატორი N3.4.1.1.

- *სკოლას არ ქონდა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ;*
  სკოლამ წარმოადგინა 2026 წლის 04.05.-ს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნა N002891126 რომლითაც სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაბელაშვილების საჯარო სკოლის შენობის ტექნიკური

მდგომარეობა ვიზუალური დათვალიერებით დამაკმაყოფილებელია. დღეის მდგომარეობით ვიზუალურად შენობას არ აღენიშნება დეფორმაციები ან სხვა რაიმე სახის კონსტრუქციული დაზიანებები რაც საფრთხეს შუქმნის შენობის შემდგომ უსაფრთხო ექსპლუატაციას.

- *სკოლის ტერიტორიაზე მოქმედ სამედიცინო პუნქტში არ იყო დაცული სამედიცინო საქმიანობის განხორციელებისათვის დადგენილი ლიცენზირების მოთხოვნები და სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს განსახორციელებელი ღონისძიებები (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ 2019 წლის 06/ნ ბრძანება მუხლი 12 „ქ" ქვეპუნქტი)*
  სკოლამ წარმოადგინა დირექტორის N 01-02/15 ბრძანებით დამტკიცებული „ უსაფრთხოების სამსახურის დებულება" ,რომელშიც გაწერილია საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს განსახორციელებელი ღონისძიებები

ინდიკატორი 3.4.1.1.-ის შეფასება შეუსაბამოდან გადავიდა შესაბამისობაში.

ინდიკატორი N3.4.1.6.

სკოლას არ ჰყავდა ბრძანებით განსაზღვრული, ვიდეო მონიტორინგის დროს ჩანაწერის წვდომაზე და მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირი.

სკოლამ წარმოადგინა სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის ხაბელაშვილების საჯარო სკოლის ვიდეომონიტორინგის სისტემაზე წვდომაზე და მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის, დირექტორის 2026 წლის 27.03-ის 01-02/08 ბრძანება

ინდიკატორი N3.4.1.6.-ის შეფასება შეუსაბამოდან გადავიდა შესაბამისობაში.

ინდიკატორი N3.1.2.4.

სკოლაში დასაქმებული 2 პედაგოგის (მუსიკა -კომპიტერული ტექნოლოგიები) საკვალიფიკაციო მოთხოვნა არ შეესაბამებოდა კანონმდებლობით დადგენილ წესებს. დროებით დასაქმეულ კადრთან არ იყო კანონით გათვალისწინებული ხელშეკრულება გაფორმებული.

სკოლამ განმარტა, რომ მაღალმთიანი რეგიონების მცირეკონტიგენტიანი სკოლებისთვის დამახასიათებელია კადრების დეფიციტი, რაც გამოწვეულია რთული ბუნებრივი პირობებითა და მოსახლეობის მიგრაციით. სკოლა ყოველწლიურად აცხადებს ვაკანსიას აღნიშნულ პოზიციაზე, მაგრამ მსურველების არ არსებობის გამო, ვაკანსიის შევსება ვერ ხერხდება. სკოლა მიმართავს საათების შიდა განაწილებას კათედრების მიხედვით. სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით ჩანს, რომ აღნიშნულ ვადებში (27.03.2026-10.09.2026) სკოლა გეგმავს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისი ადამიანური რესურსის მოძიებას: მასწავლებელი, რომლსაც არ აქვს დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია, ვალდებულია ჩააბაროს საგნის გამოცდა შემდეგი სასწავლო წლის დაწყებამდე, სკოლა ხელს შეუწყობს მისი მომზადების პროცესს შესაბამისი სასკოლო რესურსების უზრუნველყოფით.

სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება: შესაბამისობის გეგმა ინდიკატორი 3.1.2.4 სკოლის მიმართ გაიცა რეკომენდაცია: უზრუნველყოს სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (27.03.2026-10.09.2026) კანონმდებლობით დადგენილი კვალიფიციური კადრის დასაქმება აღნიშნულ პოზიციაზე.

ინდიკატორი N3.1.2.4.-ის მოთხოვნა შეუსაბამოდან გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში.

ინდიკატორი N3.4.1.2.

- *სკოლას არ ქონდა სამედიცინო კაბინეტში ხელოვნური ბარიერი (გამყოფი პანელი, ტიხრული შირმა) მეორე გამოყოფილი მცირე გასასინჯი სივრცე. პაციენტის გასინჯვისას პრივატულობის უზრუნველყოფის მიზნით.*

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც 2026 წლის 10.09. -მდე სკოლის ბიუჯეტით შეძენილ იქნება ხელოვნური ბარიერი (გამყოფი პანელი, ტიხრული შირმა).

- *სკოლის სამედიცინო კაბინეტში, თემის სამედიცინო პუნქტის ფუნქციონირება არ იყო შეთანხმებული აჭარის განათლებისა და სპორტის სამინისტროსთან*

  სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც 2028 წლის 10.09. -მდე შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურის ჩართულობით, თემის ამბულატორიის გადატანა განხორციელდება „სოფლის სახლში".აქტივობა გაწერილი აქვთ ორწლიან პერიოდზე;

ინდიკატორი N3.4.1.2-ის მოთხოვნა შეუსაბამოდან გადავიდა ნაწილობრივ შესაბამისობაში.
ინდიკატორი N2.2.2.4.

სკოლაში სამი საგნის მასწავლებელს დაწყებით საფეხურზე, (მუსიკა, ისტი და მათემატიკა) არ ქონდათ დადასტურებული საგნობრივი კომპეტენციები.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და ასევე დირექტორის 2026 წლის 27.03.-ის ბრძანება 01-02/09 ვაკანტური საათების შესავსებად ღია კონკურსის გამოცხადების , ვადებისა და პირობების განსაზღვრის შესახებ. ხარვეზის აღმოსაფხვრელად ადმინისტრაცია ყოველ სამ თვეში გამოაცხადებს ვაკანსიებს აღნიშნულ პოზიციაზე და ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე უზრუნველყოფს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისი ადამიანური რესურსის მოძიებას. (27.03.2026-10.09.2026)

ინდიკატორი N2.2.2.4.-ის მოთხოვნა შეუსაბამოდან გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში.

*სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის პირველადი გეგმის მიხედვით, ასევე სკოლაში ვიზიტით დადგინდა, რომ სკოლას არ ქონდა შექმნილი სრულად ადაპტირებული გარემო, რაც არ შეესაბამებოდა **ინდიკატორ 3.5.1.4** -ის მოთხოვნებს: პირველადი შესაბამისობის გეგმით, შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკის დადგომის ალბათობის (40%)გათვალისწინებით, სკოლა უზრუნველყოფს რესურს ოთახის, ადაპტირებული სველი წერტილის და შიდა კიბეებზე ადაპტირებული ასასვლელი პანდუსის მოწყობას .(2026 წლის იანვარი-2028 წლის იანვარამდე)აქტივობა გაწერილია ორწლიან პერიოდზე.*

ინდიკატორი N3.5.1.4.ნაწილობრივ შესაბამისია.

ასევე პირველადი შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში სკოლა უზრუნველყოფს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობას.2026 წლის იანვრიდან-2027 წლის 1ივნისამდე

ინდიკატორი N2.2.2.3.მეტწილ შესაბამისია.

სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმისა და მტკიცებულებების გაცნობის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაბელაშვილების საჯარო სკოლის მისიაა შექმნას უწყვეტი განვითარების პლატფორმა სასკოლო საზოგადოებისა და თემისთვის. ინოვაციური მიდგომების დანერგვას, რომლის წევრებიც შეძლებენ საკუთარი წვლილი შეიტანონ ქვეყნისა და საზოგადოების განვითარებაში. სკოლა მიზნად ისახავს, ჩამოუყალიბოს მოსწავლეებს მუდმივი თვითგანვითარებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები, შემეცნებისა და აკადემიური წარმატებისკენ სწრაფვის სურვილი, შეძლებენ საკუთარი შესაძლებლობების აღმოჩენა/გათვითცნობიერებას და ამის მიხედვით დაგეგმავენ საკუთარ მომავალს, გააკეთებენ მნიშვნელოვან და ქვეყნისთვის სასარგებლო საქმეს.სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რჩევა: დაწესებულებას მიეცა რჩევა, მკაფიოდ გამოკვეთოს და განსაზღვროს ორგანიზაციის მისია. სასურველია სკოლის იდენტობის გამოვლენის მიზნით წარმოაჩინოს სკოლის ძლიერი მხარეები.

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლას მისიითა და ხედვით განსაზღვრული აქვს ისეთი გარემოს შექმნა, სადაც უზრუნველყოფილი იქნება საზოგადოების, ქვეყნისა და საკუთარი თავის წინაშე პასუხისმგებლიანი, რეალიზებული პიროვნების აღზრდა და საზოგადოებისთვის უსაფრთხო სასკოლო გარემოს ფორმირება. დაწესებულების დოკუმენტაციის, განხორციელებული პროექტებისა და თავად სკოლაში შექმნილი ატმოსფეროს შესწავლით დგინდება, რომ სკოლა ადგილობრივ თემში იდენტიფიცირებულია როგორც უსაფრთხო და განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცე. დაწესებულება აქტიურად ახორციელებს მოსწავლეთა პიროვნულ ზრდასა და ფასეულობებზე ორიენტირებულ საკლასო თუ არაფორმალურ ღონისძიებებს, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების წევრებში დაცულობის განცდისა და კეთილგანწყობის გაღვივებას. სკოლა სოციო-კულტურულ სივრცედ აღიქმება მშობლების მხრიდანაც, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი სკოლის მიერ განხორციელებულ პროექტებსა და ღონისძიებებში, აფიქსირებენ აზრს სკოლის მიერ ინიცირებულ გამოკითხვებში და სტრუქტურული დებულებით განსაზღვრულ კოლეგიურ ორგანოებში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

დაწესებულებამ წარმოადგინა 2025 წლის N01-02-14 22 სექტემბრის ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც აღწერს მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითად ეტაპებს, პროცესზე პასუხისმგებელ პირსა და პროცესში ჩართულ მხარეებს. დოკუმენტის პირველი თავით რეგულირდება სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების პროცესში ჩართული მხარეები, კერძოდ: სკოლის დირექცია, სასკოლო საზოგადოება (სკოლის დირექცია მასწავლებელი, მოსწავლე/მოსწავლეთა თვითმმართველობა, მშობელი), სამეურვეო საბჭო, თემი. გარდა ამისა, სკოლამ წარმოადგინა მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების ამსახველი დოკუმენტაცია, სხდომის ოქმები, სასკოლო საზოგადოებასა და თემში კვლევის განხორციელების მიზნით, შექმნილი კიხვარები და მოკვლევის შედეგები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში გაწერილია გაზიარების მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების თანამონაწილეობას, პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინებას, უკუკავშირის ფორმებს. მეთოდოლოგიის დოკუმენტში წარმოდგენილია, თუ ვისთან უნდა იქნეს გაზიარებული კონკრეტული დოკუმენტები / პროცესები და გაზიარების რა აქტივობები და ელექტრონული საშუალებების გამოყენებაა თითოეულთან მიმართებით რეკომენდებული.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სასკოლო საზოგადოების გასაცნობად დაწესებულების მისია გამოკრულია სკოლის ფოიეში. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი https://skolebi.emis.ge/schools/508 , რომელზეც განთავსებულია მისია, ხედვა და ღირებულებები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

დაწესებულების დასახელება სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაბელაშვილების საჯარო სკოლა-განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი;
- სასკოლო საზოგადოების ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია: ოქმები, მშობლების წერილობითი უკუკავშირი;
- 2025 წლის 22.09 N01-02/14 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- სკოლის ვებ გვერდი: https://skolebi.emis.ge/schools/508

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
o შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

დაწესებულებამ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს; სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში ხაზგასმულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მნიშვნელობა და გაწერილია სკოლის განვითარების გეგმების შემუშავებაში მათი ჩართულობის ეტაპები. კერძოდ, აღნიშნული მეთოდოლოგია მოიაზრებს სამუშაო ჯგუფის შექმნას, რომელშიც გაწევრიანებულები არიან პედაგოგიური საბჭოს, სამეურვეო საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრი და მშობლები. ჯგუფს ხელმძღვანელობს სკოლის პედაგოგი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი (2025-2032). განხილულია სასაკოლო საზოგადოების მიერ , შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ. გეგმა ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს. მასში აღწერილია სტრატეგიული მიმართულებები, რომელიც თავის მხრივ იყოფა განსახორციელებელ ამოცანებად და გაწერილია ასევე მათი განხორციელების გზები. სკოლის სტრატეგიული მიზნებია: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, ადამიანური რესურსის განვითარება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა, სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, მოსწავლეთა მხარდაჭერა, ორგანიზაციული განვითარება. შვიდწლიან გეგმაში განსაზღვრულია ამოცანების შესრულების პერიოდები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია .

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას

სკოლას აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ხდება სკოლის სამოქმედო გეგმის ყოველწლიური თვითშეფასება, კათედრის თავმჯდომარეებისა და კლასის დამრიგებლების ანგარიშების საფუძველზე,რაც გათვალისწინებულია სკოლის მომავალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებაში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

სკოლის 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმიდან. იგი ითვალისწინებს სასწავლო წლის განმავლობაში განსახორციელებელ აქტივობებს, დასახული მიზნების მიღწევის თანმიმდევრობას, ახდენს შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების შერჩევას/განსაზღვრას და განსაზღვრავს განხორციელების ვადებს. გაწერილია ასევე შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და აქტივობის განსახორციელებლად საჭირო რესურსები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დამტკიცებული სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია ;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი;
- კითხვარი სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაბელაშვილების საჯარო სკოლის სასკოლო საზოგადოებასა და თემში კვლევის განხორციელების მიზნით, სასკოლო მისიის, ხედვის და ღირებულებების შესამუშავებლად.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს

სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის განუყოფელ ნაწილს შეადგენს მონიტორინგი: თვითშეფასების, უკუკავშირის მეშვეობით. აღნიშნულ პროცესს კორდინაციას უწევს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული სტრატეგიული გეგმის ჯგუფის

თავჯდომარე. თვითშეფასებისა და შემაჯამებელი ანგარიშები განსახილველად წარედგინება დირექტორს, რომელიც სამუშაო ჯგუფთან ერთად ქმნის შემაჯამებელ დოკუმენტს. შემაჯამებელ ანგარიშში ასახულია ქვემოთ ჩამოთვლილი ინფორმაცია: რა ღონისძიებები განხორციელდა და რა მიზნებია მიღწეული დაგეგმილ პერიოცესში; რისი განხორციელება არ მოხდა წინასწარ დაგეგმილ ვადაში და რა ხელშემშლელი ფაქტორები გამოვლინდა, რა ზეგავლენას მოახდენს ნაწილობრივ შესრულებული ქმედებები მთლიან მიზნებისა და ამოცანებზე; რომელი სტრატეგიული ინიციატივა უნდა გადამოწმდეს მომდევნო წლისთვის. შემაჯამებელი ანგარიშით მოცემულ ცვლილებათა საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, დაკორექტირდება არსებული სტრატეგიული გეგმა. აღნიშნული პროცესი ნათლად გაწერილია სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლას აქვს მზაობა მეთოდოლოგიის შესაბამისად, განახორციელოს სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, შესრულების მონიტორინგი და შეფასება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლა იყენებს შენობაში თვალსაჩინო ადგილებს, საინფორმაციო დაფებს, სადაც განთავსებულია სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები. გეგმით გაწერილ დროში გამოაქვეყნებს შესრულების ანგარიშებს. გარდა ამისა, სკოლა სარგებლობს ვებგვერდით, რომელზეც ამოქმედებულია შესაბამისი ველი ანგარიშების გამოსაქვეყნებლად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგებს სკოლა გამოიყენებს სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად, სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით, მონიტორინგისა და SWOT ანალიზის შედეგების საფუძველზე, ხორციელდება სკოლისათვის მნიშვნელოვანი პრიორიტებების გამოკვეთა და მათი მიღწევის გზების დაგეგმვა

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია .

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- კათედრის ანგარიშები;
- დირექტორის 10 დეკემბრის ანგარიში;
- 2025-2032 სტრატეგიგული განვითარების გეგმა;

- 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლაში დასაქმებული პირების ფუნქციები გაწერილია მათთან გაფორმებულ ხელშეკრულებებსა და სკოლის დებულებაში. ხოლო დასაქმებულთა უფლებამოსილებები გაწერილია სკოლის შინაგანაწესსა და სკოლის დირექტორის 2026 წლის 5 თებერვლის N 01-02/05 ბრძანებით დამტკიცებულ სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტში.

სკოლის სტრუქტურული ერთეულებია: დირექცია, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინარული კომიტეტი. სკოლის თანამდებობრივი სტრუქტურა შედგება: სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია, ტექპერსონალის, პედაგოგების და ექთნისგან. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის მართვის ჯგუფი, საგნობრივი კათედრები. კანონმდებლობის სრული დაცვით. სკოლას წარმოდგენილი აქვს მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, სადაც გაწერილია თვითმმართველობის ფუნქცია-მოვალეობები, მისი არჩევის წესი. აღნიშნული სტრუქტურული რგოლი აქტიურად არის ჩართული სკოლის მართვასა და ფუნქციონირებაში. სტრუქტურული ერთეულები და მათი თანამდებობრივი ინსტრუქციები განთავსებულია სკოლის ვებ გვერდზე **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სასკოლო საზოგადოებას წარმოადგენს სკოლის ყველა თანამშრომელი, რომელთა მოვალეობანი და უფლებამოსილებანი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, თანამდებობრივი ინსტრუქციებით და შინაგანაწესით. სკოლაში ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილების არსებული

პრაქტიკა ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის წარმატებით განხორციელებას. სტრუქტურული ერთეულის/პირების ფუნქციები რეგულირდება სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი შემდეგი დოკუმენტით: ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება, ანგარიშვალდებულების სასკოლო სისტემა. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს სკოლის საგანმანათლებლო, ფინანსური და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობის შესახებ.

რჩევა: სასურველია დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ხარისხის მართვის ჯგუფთან ერთად დაადგინოს პედაგოგთა პროფესიულ საჭიროებები და ამის შესაბამისად დაგეგმოს მათი განვითარებისთვის საჭირო სამუშაო შეხვედრები უზრუნველყოს მათი გეგმაზომიერად განხორციელება, მედამხედველობა გაუწის კათედრების მუშაობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2026 წლის 5 თებერვლის N01-02/05 ბრძანებით დამტკიცებულ სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი;
- დასაქმებულთა ხელშეკრულებები;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის სტრუქტურა.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ პერსონალის მართვა ხორციელდება სკოლის დებულების, სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკისა და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად. სკოლის შინაგანაწესი შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და რეგულირდება წინასახელშეკრულებო ურთიერთობის, სკოლაში თანამშრომლის მიღების, შრომითი პირობების, ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საკითხები, ხოლო ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი არეგულირებს სამოქმედო პრინციპებს, კვალიფიციური კადრების მოზიდვის, შერჩევის, პერსონალის შეფასების და პროფესიული განვითარების პროცესებს. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის ძირითადი მიზნებია: სკოლაში მაღალკვალიფიციური კადრის მოზიდვა, შერჩევა და შენარჩუნება; ეფექტური

საკადრო პოლიტიკის მეშვეობით, ადმინისტრაციული და აკადემიური პროცესების ეფექტურად განხორციელება; დასაქმებულთა მოტივაციის, თვითრეალიზების და ნაყოფიერი საქმიანობის უზრუნველყოფა. დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ დირექციისა და სკოლის თანამშრომელთა (მათ შორის ადმინისტრაციული პერსონალის – საქმისმწარმოებლის) დამატებითი (ზედმეტი) საათობრივი დატვირთვა არ შეესაბამება მოქმედი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს. კერძოდ დირექტორის დამატებითი (ზედმეტი) საათობრივი დატვირთვა არ არის შესაბამის რესურსცენტრის ხელმძღვანელთან შეთანხმებული,რაც ეწინააღმდეგება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

სკოლაში თანამშრომელთა, მათ შორის დირექტორისა და ადმინისტრაციული პერსონალის (საქმისმწარმოებლის), სამუშაო/საათობრივი დატვირთვის განსაზღვრა არ ეფუძნებოდა სრულად მოქმედი კანონმდებლობითა და შიდა რეგულაციებით დადგენილ მოთხოვნებს. კერძოდ, დატვირთვები არ იყო სათანადოდ დასაბუთებული და არ იყო საგანმანთლებლო რესურსცენტრთან შეთანხმებული

სკოლამ წარმოადგინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანო შუახევის რესურსცენტრის 2026 წლის 31.03.-ის წერილი MES5260000384034 და 15.04.-ის წერილი MES9260000431918 საგაკვთილო საათის განსაზღვრის შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა

სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს მიერ 2025 წლის 22 სექტემბერს დამტკიცებული, პერსონალის მართვის პოლიტიკა და ადამიანური რესურსების მოზიდვისა და მათი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტი, რომლებითაც რეგულირდება სამუშაოს შესრულებაზე ორიენტირებული კადრების მოზიდვისა და შერჩევის პროცესის განხორციელება. სკოლა ზრუნავს როგორც არსებული კადრების შენარჩუნებასა და განვითარებაზე, ასევე, საჭიროებისამებრ, ახალი კვალიფიციური კადრების მოზიდვაზე. სკოლისთვის პრიორიტეტულია არსებული კადრების სტაბილურად შენარჩუნება, მათი ადაპტაცია და ინტეგრაცია სამუშაო გარემოში, ღირებულებებისა და ფასეულობების გაზიარება, თანამშრომელთა შორის კომუნიკაციას. მართვის პოლიტიკა ასევე არეგულირებს პერსონალის შეფასების და საჭიროებების დადგენის, მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ჩართულობისა და პროფესიული განვითარების ასპექტებს. ამავე დოკუმენტით სკოლას აქვს შემუშავებული საჭიროებისამებრ დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში როგორ უზრუნველყოფს მისი ფუნქციების დელეგირებას სხვაზე ისე, რომ არ დაზარალდეს ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

სკოლის ერთ-ერთი ამოცანაა კვალიფიციური კადრების მოზიდვა. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ სკოლა მიეკუთვნება მაღალმთიან რეგიონს რაც ერთგვარი შემაფერხებელი ფაქტორია კვალიფიციური კადრის შესარჩევად. მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად, სკოლას შემუშავებული აქვს კონკურსის ჩატარების წესი. წარმოდგენილი აქვს ასევე კონკურსის ჩატარების მიზნით საკონკურსო კომისიის შესახებ ბრძანება, კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების ვადების შესახებ ბრძანება და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც სრულად შეესაბამება კანონმდებლობას. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში ასევე გაწერილია, რომ სკოლაში მასწავლებლის მიღება ხდება შიდა და ღია კონკურსის გზით

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესაბამისად. სკოლას ვიზიტის პერიოდში არ ყავდა ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

პერსონალის კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას; დასაქმებული პერსონალი შერჩეულია სკოლის მიერ შემუშავებული წესის შესაბამისად, გამჭვირვალობისა და ობიექტურობის პრინციპების დაცვით. კანდიდატების შერჩევა ხდება საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით. სკოლაში დასაქმებულ მასწავლებელთა კვალიფიკაცია სრულად ვერ პასუხობს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. სკოლაში დასაქმებულია 16 პედაგოგი მათ შორის 3 წამყვანი, 10 უფროსი მასწავლებელი მათი პირადი საქმეები მოწესრიგებულია და წარმოდგენილია კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო საბუთი. სკოლას ყავს 1 უსტატუსო პედაგოგი. კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და მუსიკის პედაგოგის საკვალიფიკაციო მოთხოვნა არ აკმაყოფილებს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს. სკოლას ვიზიტის პერიოდში აღნიშნულ საგნობრივ დისციპლინებზე ვაკანსია არ ქონდა გამოცხადებული.

სკოლაში დასაქმებული 2 პედაგოგის (მუსიკა -კომპიტერული ტექნოლოგიები) საკვალიფიკაციო მოთხოვნა არ შეესაბამებოდა კანონმდებლობით დადგენილ წესებს. დროებით დასაქმეულ კადრთან არ არის კანონით გათვალისწინებული ხელშეკრულება გაფორმებული.

სკოლამ განმარტა, რომ მაღალმთიანი რეგიონების მცირეკონტიგენტიანი სკოლებისთვის დამახასიათებელია კადრების დეფიციტი, რაც გამოწვეულია რთული ბუნებრივი პირობებითა და მოსახლეობის მიგრაციით. სკოლა ყოველწლიურად აცხადებს ვაკანსიას აღნიშნულ პოზიციაზე, მაგრამ მსურველების არ არსებობის გამო, ვაკანსიის შევსება ვერ ხერხდება. სკოლა მიმართავს საათების შიდა განაწილებას კათედრების მიხედვით. სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით ჩანს, რომ აღნიშნულ ვადებში (27.03.2026-10.09..2026) სკოლა გეგმავს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისი ადამიანური რესურსის მოძიებას: მასწავლებლები, რომლებსაც არ აქვთ დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია, ვალდებულნი არიან ჩააბარონ საგნის გამოცდა შემდეგი სასწავლო წლის დაწყებამდე, სკოლა ხელს შეუწყობს მათი მომზადების პროცესს შესაბამისი სასკოლო რესურსების უზრუნველყოფით.

სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება: შესაბამისობის გეგმა ინდიკატორი 3.1.2.4

რეკომენდაცია: უზრუნველყოს სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (27.03.2026-10.09.2026) კანონმდებლობით დადგნილი კვალიფიციური კადრის დასაქმება აღნიშნულ პოზიციაზე.

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

სკოლის დირექციასთან, პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის მართვა ხორციელდება მონაწილეობით, რაც გულისხმობს პერსონალის ჩართულობას და თანამშრომლობას დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სკოლის პედაგოგები და მშობელთა წარმომადგენლები განსაზღვრული არიან დისციპლინურ კომიტეტში, სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილ სამუშაო ჯგუფებში (მაგ: სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სამოქმედო და სტრატეგიული გეგმის შექმნაზე მომუშავე ჯგუფი), მრჩეველთა საბჭოში, რაც უზრუნველყოფს მონაწილეობით მმართველობის განხორციელებას.გუნდური მუშაობის თვალსაჩინო მაგალითია საგნობრივი კათედრების წევრების მიერ ერთობლივად მიღებული გადაწყვეტილებები, ჩატარებული ინტეგრირებული გაკვეთილები, განხორციელებული პროექტები და ვიზუალური მასალა.

რჩევა: სასურველია მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპი გათვალისწინებულ იყოს სასკოლო კურიკულუმების შემუშავებისას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში არსებობს წარმატებული გამოცდილებების გაზიარების პრაქტიკის ცალკეული მაგალითები და მას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს სასკოლო სივრცეში. წარმატებული გამოცდილების კოლეგებისათვის გაზიარება საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ არსებულ გამოცდილებას, დასვან კითხვები, მიიღონ პასუხები, მოტივირდნენ კონსტრუქციული, პოზიტიური უკუკავშირით და აღიარებით.

ინდიკატორი მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- დასაქმებულთა ხელშეკრულებები;
- უფროსი მასწავლებლის ხელშეკრულება;
- მასწავლებელთა ვაკანსიების ვებ -გვერდი;
- კონკრეტულ პოზიციაზე განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- 2022 წლის საკონკურსო კომისიის ოქმი;
- escool ბაზის მონაცემები;
- დასაქმებულთა პირადი საქმეები.

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტის მე-19 მუხლი არეგულირებს დასაქმებულთა მიერ სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს , რომლის მიხედვითაც ადამიანური რესურსების მართვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს შესრულებული სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესება, რისთვისაც უნდა ხორციელდებოდეს სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვის პროცესი. აღნიშნული პროცესი ემსახურება დასაქმებულთა განვითარებასა და მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის ხელშეწყობას, რაც შესაძლებელს ხდის დასაქმებულთა კვალიფიციურობის ანალიზს სამუშაოს ძირითად მოთხოვნებთან, დასახულ მიზნებსა და ამოცანებთან მიმართებაში. ავლენს სამუშაოს შესრულების ხარისხის განმაპირობებელ გარემოებებს და დასაქმებულთა პროფესიული განვითარების კუთხით დამატებით საჭიროებებს. ვიზიტის დროს დასაქმებულებთან გასაუბრების შედეგად დადგინდება,რომ ამ ეტაპზე არ არსებობს თანამშრომელთა შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის პრაქტიკა.სკოლა სამომავლოდ გეგმავს გაკვეთილებზე დასწრების შედეგად, პედაგოგთა ძლიერი და დასახვეწი მხარეების იდენტიფიცირებას. შემდგომში, აღნიშნული ანალიზის საფუძველზე, სკოლა გეგმავს მიზნობრივ ტრენინგებსა და პროფესიული განვითარების ღონისძიებებს, რაც მიანიშნებს, რომ დაწესებულებაში ჩამოყალიბებულია საჭიროებებზე დაფუძნებული პროფესიული განვითარების მიდგომის ელემენტები.

რჩევა: სასურველია სკოლამ პროცესი წარმართოს, სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტის მე-19 მუხლი შესაბამისად, დასაქმებულთა განვითარებისა და მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის მიზნით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლის დირექტორის განმარტებით, შემდგომში მასწავლებლების საქმიანობის შეფასების შედეგების ანალიზი საშუალებას მისცემს სკოლას განსაზღვროს პერსონალის პროფესიული განვითარების პრიორიტეტები. შეფასების შედეგად გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე სკოლა დაგეგმავს და უზრუნველყოფს თანამშრომლების მონაწილეობას სხვადასხვა პროფესიული განვითარების აქტივობებში. პერსონალის საჭიროებების გამოვლენისთვის სკოლაში პერიოდულად გამოიყენებს სპეციალურად შემუშავებული კითხვარებს, რომლებიც დაეხმარება ინდივიდუალური განვითარების სფეროების ამოცნობასა და თანამშრომელთა პროფესიული შესაძლებლობების გაუმჯობესებაში. სამოქმედო გეგმის მიხედვით, სკოლა

ადამიანური რესურსის განვითარების ხელშეწყობას განსაკუთრებულ პრიორიტეტად მიიჩნევს, რაც გულისხმობს სამომავლოდ მასწავლებლების ტრენინგებით უზრუნველყოფას და მათი პროფესიული უნარებისა და კომპეტენციების სისტემურ განვითარებას. აღნიშნული მიდგომა პირდაპირ აისახება სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებასა და მოსწავლეთა შედეგების ზრდაზე.

რჩევა: სასურველია, სკოლამ განსაზღვროს პროფესიული განვითარების პროცესში შესაძლო გამოწვევები და შექმნას სისტემური მონიტორინგისა და გაკვეთილებზე დასწრების გეგმა. ეს უზრუნველყოფს საქმიანობის შედეგების მიზნობრივ ანალიზს, საჭიროებების დროულ გამოვლენას და თანამშრომელთა პროფესიული მხარდაჭერის ეფექტიან დაგეგმვას, რაც დადებითად აისახება როგორც პროფესიულ ზრდაზე, ისე სკოლაში შიდა მართვის კულტურაზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტის მე-20 მუხლი, არეგულირებს პერსონალის კარიერულ ზრდასთან დაკავშირებულ საკითხებს. სკოლა უზრუნველყოფს დასაქმებულთა მონაწილეობას სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტებსა და ღონისძიებებში, ხელს უწყობს პედაგოგების მონაწილეობას პროფესიული და კარიერული განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებსა თუ სამუშაო შეხვედრებში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სკოლის დირექციასთან, გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა ახალმოსულ თანამშრომელს აწვდის ინფორმაციას მის სამუშაო პოზიციასა და როლთან დაკავშირებული საკითხების შესახებ, ასევე რა მოლოდინი აქვს მისგან ორგანიზაციას და რა ჩაითვლება სამუშაოს კარგად შესრულებაში. სკოლა ხელს უწყობს თანამშრომელს, რომ თავი იგრძნოს ღირებულად, გაუჩნდეს მიკუთვნებულობის განცდა ორგანიზაციისა და მისი ღირებულებების მიმართ, რაც თავის მხრივ ზრდის თანამშრომლის კმაყოფილებისა და მოტივაციის დონეს. პროცესი რეგულირდება სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მუხლი18-ით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

ყველა ინიციატივა, რომელიც შესაძლებლობას აძლევს სკოლის პერსონალს განვითარდეს, წახალისებულია სკოლის მიერ. წახალისების ფორმები გაწერილია შინაგანაწესში. სკოლა პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, დასაქმებულის მიმართ იყენებს წახალისების შემდეგი ფორმებს ა) მადლობის გამოცხადება; ბ) სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. ასევე, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით განსაზღვრულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისების მექანიზმები. ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტში გაწერილია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირების და წახლისების მექანიზმი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა (2025 წლის 22.09);
- პერსონალის ადაპტაციის წესი;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმებ;
- სკოლის სოციალური ქსელის გვერდი;
- თანამშრომელთა სერტიფიკატები და ცნობები;
- პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები;
- თანამშრომელთა წახალისების ბრძანებები.

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლას შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი (2025 26.09. ბრძანება N01-02/22), რომელიც არეგულირებს სწავლა/სწავლების, სასწავლო გარემოსა და პროცესის ხარისხის მართვას და ადგენს ხარისხის უზრუნველყოფის და განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებებს. დოკუმენტის შექმნის მიზანია სწავლების ხარისხის მონიტორინგი და მათი მუდმივი სრულყოფა, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენება და მათი განვითარებისათვის ხელშეწყობა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები

სკოლა, ორგანიზაციული პროცესების მართვას, ახორციელებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და შიდა დოკუმენტაციის საფუძველზე, მათ შორის შრომის შინაგანაწესის, სასკოლო სასწავლო გეგმისა და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს საქმიანობის სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევას და პროცესების სტრუქტურირებულ მართვას. სასწავლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცედურები დეტალურადაა ასახული დოკუმენტებში: "სკოლის თანამშრომელთა და სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და უფლება მოვალეობები" და "ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა", რომლებსიც განსაზღვრულია მმართველობითი ფუნქციები, დირექტორისა და ადმინისტრაციის პასუხისმგებლობები და ანგარიშვალდებულება. შინაგანაწესშიც გაწერილია საკადრო პროცესები: შრომითი ურთიერთობების დამყარებისა და შეწყვეტის წესები, თანამშრომელთა წახალისების ფორმები და მათი გამოყენების პროცედურები, სამსახურში გამოუცხადებლობის წესები, პერსონალის მატერიალური პასუხისმგებლობა, აგრეთვე მასწავლებლისა და დამრიგებლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაბელაშვილების საჯარო სკოლაში საჩივრებისა და გადაწყვეტილებების გასაჩივრების პროცედურები დადგენილია დირექტორის 2025 წლის №01-02/20 ბრძანებით დამტკიცებულ მოსწავლის, პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტით . ასევე შინაგანაწესში დეტალურად არის გაწერილი თანამშრომლებისა და მოსწავლეების დისციპლინური პასუხისმგებლობები, საჩივრის შეტანის წესი და განხილვის პროცედურები. დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლა ითვალისწინებს ყველა მნიშვნელოვან შემთხვევას, მათ შორის ვაკანტური მასწავლებლის პოზიციაზე კონკურსის შედეგების გასაჩივრებას. კანდიდატს აქვს უფლება კომისიისა და დირექტორის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საპრეტენზიო კომისიაში, განსაზღვრული ვადებისა და წესების დაცვით. საჩივრების განხილვა სრულდება ადმინისტრაციული კოდექსის ნორმების შესაბამისად. მონიტორინგის შედეგად დადასტურდა, რომ თანამშრომლები სრულად არიან ინფორმირებული მოსწავლეებისა და მშობლების უფლებების შესახებ და იციან, რომ ნებისმიერ უკანონო ან არასათანადო ქმედებისას შეუძლიათ გასაჩივრება, რაც ამყარებს სკოლის მმართველობის სისტემის გამჭვირვალობასა და სამართლიანობას. .

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლის თანამშრომლები, მოსწავლეები და მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები სკოლაში სარგებლობენ თავიანთი უფლებითა და თავისუფლებით თანაბრად. თანამშრომელთა და სკოლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. მოსწავლის და მშობლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში. პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვისთვის სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2025 წლის. 25.09-ის ბრძანება N01-02/20 სკოლაში განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესის დამტკიცების შესახებ;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- დისციპლინარული კომისიის შექმნის ოქმი;
- სკოლის შინაგანაწესი.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და დირექციასთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ სასწავლო წლის დასაწყისში, იმართებამშობელთა კრებები, რომლებზეც დამრიგებლები მშობლებს აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს, სასკოლო სასწავლო გეგმას, მოსწავლეთა შეფასების სისტემას, სახელმძღვანელოების ნუსხას, ასევე, აწვდიან ინფორმაციას წლის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობების შესახებ. გარდა ამისა, იმართება დამრიგებლისა და საგნის პედაგოგების შეხვედრები მშობლებთან სხვადასხვა საკითხზე. სკოლას აქვს გარკვეული პრაქტიკა ელექტრონული კითხვარების წარმოების, რაც დასტურდება სკოლის მიერ მოწოდებული მასალით და ბმულებით. წარმოდგენილი მშობელთა კრების ოქმით დგინდება, რომ სკოლა მშობლებსა და მოსწავლეებს დამრიგებლების მეშვეობით აცნობს ინფორმაციას სკოლაში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობების შესახებ. მოსწავლის შესახებ მშობლებთან კომუნიკაცია და აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმირება ხდება მშობელთა კრებაზე (პერსონალური მონაცემების დაცვით, ზოგადი მიმოხილვა), ონლაინ ეფორმატში Teams ან Zoom პლატფორმის საშუალებით, ელექტრონული

ჟურნალით, ელექტრონული ფოსტით, ტელეფონითა და სოციალური ქსელის დახურული ჯგუფების საშუალებით. სკოლა მოსწავლეებთან და თანამშრომლებთან კომუნიკაციისათვის აქტიურად იყენებს კომუკაციის სხვადასხვა საშუალებებს: ელ–ფოსტა, საინფორმაციო დაფა.

რჩევა:სასურველია სკოლამ შეიმუშაოს პროცედურები უკუკავშირის მიღებისა და რეაგირებისათვის, რაც საშუალებას მისცემს ადმინისტრაციას ეფექტურად გაითვალისწინოს სასკოლო საზოგადოების მოსაზრებები, საჭიროებები და ინიციატივები, გააძლიეროს მართვის პროცესების გამჭვირვალობა და გაზარდოს საზოგადოების ჩართულობა სკოლაში

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა

სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა, ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, მრჩეველთა საბჭო. თითოეულის ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში მიზნობრივი და კანონმდებლობით განსაზღვრულია. სკოლის სამეურვეო საბჭოში და დისციპლინურ კომიტეტში პედაგოგებთან ერთად მშობლები და საშუალო საფეხურის მოსწავლეები არიან წარმოდგენილები. მოსწავლეთა თვითმმართველობა არჩევითი ორგანოა, რომელიც ასევე მონაწილეობს სასკოლო ცხოვრებაში.სკოლას ვიზიტის პერიოდში არ ყავდა ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი. აქვს მზაობა მისი შექმნის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი;
- სამეორვეო საბჭოს ოქმი;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმები;
- მოსწავლეთა თვითმართველობის ოქმი;
- მშობელთა კრების ოქმი, უცხოენის არჩევის შესახებ;
- საინფორმაციო დაფები.

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტის შემუშავების მიზანია სკოლაში ბავშვთა უფლებების დაცვა და მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება; სკოლის ტერიტორიაზე, სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება; ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა და საგანგებო სიტუაციების პრევენცია, მისთვის მზადყოფნა.სკოლაში ვიზიტის დროს გაირკვა,რომ სკოლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქცია დირექტორის 2026 წლის 27.03.-ის ბრძანება N01-02/08-ით, შეთავსებული აქვს სკოლის პედაგოგს, რომელსაც გავლილი აქვს მანდატურის სამასახურის მიერ დადგენილი კურსები (მანდატურის სამსახურის მიერ დაწესებული 2 კვირიანი კურსი). სკოლა აღჭურვილია 12 ვიდეო-სამეთვალყურეო კამერით, რომლითაც კონტროლდება როგორც შენობის შიდა, ისე გარე პერიმეტრი. სკოლას სართულების მიხედვით ჰყავს მორიგე მასწავლებლები, რომლებიც უზრუნველყოფენ დერეფნებში წესრიგის დაცვას და მოსწავლეთა უსაფრთხო გადაადგილებას. სკოლას დარეგულირებული აქვს მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების კონტროლი, რათა დროულად მოახდინოს არმყოფი მოსწავლის იდენტიფიცირება და არყოფნის საფუძვლის მოძიება.სკოლაში პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით არსებობს საჭირო ინვენტარი და პირველადი დახმარების საშუალებები, რომლებიც ვარგისია გამოყენებისათვის. მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვისა და მათი სრულყოფილი განვითარებისათვის სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი. სკოლას ყავს ექთანი. სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია , მაგარამ არსებობს მიწერილობა ლაბორატორიის მოწყობის მიზნით. დაწესებულებაში დირექტორის ბრძანებით დაკომპლექტებულია მრჩეველთა საბჭო, რომლის პირდაპირი დანიშნულებაა სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხების განხილვა და სკოლის დირექტორისათვის შესაბამისი რეკომენდაციების

მიწოდება. სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და ექსპერტთა მხრიდან გაიცა რჩევა, აღნიშნული კადრის სკოლაში დასაქმების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით.

- ❖ სკოლის პერიმეტრი შემოღობილია და დაცულია უცხო პირთაგან;
- ❖ სკოლაში დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების სისტემა, განლაგებულია ცეცხლმაქრები, დამონტაჟებულია სახანძრო უსაფრთხოების სიგნალიზაცია, და სხვა შესაბამისი საჭირო ინვენტარი;
- ❖ სკოლა აქვს შემუშავებული და დამტკიცებული დირექტორის 2025წლის 08/09-ის ბრძანება N01-02/06 -ით, ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი-საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია შსს შშდ- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან MIA 12504308022;
- ❖ სკოლის ტერიტორიაზე არსებული ელექტრო გაყვანილობა არის დაცული და არ არის ღია მდგომარეობაში;
- ❖ სკოლას არ აქვს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.

2026 წლის 16.03-ს, სკოლის დირექტორმა წერილობით მიმართა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს, სკოლის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნის მოსაპოვებლად. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას სკოლის მდგრადობის შესახებ დოკუმენტი შესაბამისი ორგანოებიდან მიღებული არ ჰქონდა;

- ❖ 2025 წლის 13.05-ს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყები დაწესებულება საგანგენბო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ , ჩატარდა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად შემოწმება. აქტი N134-ით დგინდება, რომ საჯარო სკოლის შენობა-ნაგებობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა არ შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს. ინფრასტრუქტურის დათვალიერების შედეგად, სკოლაში მოქმედ სამედიცინო პუნქტში გამოვლინდა ფუნქციური შეუსაბამობა, კერძოდ — აღნიშნულ სივრცეში პარალელურად ფუნქციონირებს სხვა ტიპის სამედიცინო მომსახურების ერთეული (სოფლის ამბულატორია), რაც არ შეესაბამება მოქმედ რეგულაციებს. არ არის დაცული სამედიცინო საქმიანობის განხორციელებისათვის დადგენილ ლიცენზირების მოთხოვნები და სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს განსახორციელებელი ღონისძიებები

რჩევა:

- სასურველია სკოლამ იყოლიოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი;
- სშსს აქტი N134 შესაბამისად მოწესრიგდეს საჯარო სკოლის შენობა-ნაგებობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა.

.

- ***სკოლას არ ქონდა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ; სკოლამ წარმოადგინა 2026 წლის 04.05.-ს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნა N002891126 რომლითაც სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაბელაშვილების საჯარო სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობა ვიზუალური დათვალიერებით დამაკმაყოფილებელია. დღეის მდგომარეობით ვიზუალურად შენობას არ აღენიშნება დეფორმაციები ან სხვა რაიმე სახის კონსტრუქციული დაზიანებები რაც საფრთხეს შუქმნის შენობის შემდგომ უსაფრთხო ექსპლუატაციას.***

- ***სკოლის ტერიტორიაზე მოქმედ სამედიცინო პუნქტში არ იყო დაცული სამედიცინო საქმიანობის განხორციელებისათვის დადგენილი ლიცენზირების მოთხოვნები და სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს განსახორციელებელი ღონისძიებები (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ 2019 წლის 06/6 ბრძანება მუხლი 12 „ქ" ქვეპუნქტი)***

  სკოლამ წარმოადგინა დირექტორის N 01-02/15 ბრძანებით დამტკიცებული „ უსაფრთხოების სამსახურის დებულება" ,რომელშიც გაწერილია საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს განსახორციელებელი ღონისძიებები

ინდიკატორის მოთხოვნა დამაკმაყოფილებელია

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

სკოლის პირველ სართულზე განთავსებული პირველადი დახმარების კაბინეტი პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი 2022 წლის 21 მარტის ბრძანების №41/ნ/01-23/ნ შესაბამის მოთხოვნებს. ოთახში არის ბუნებრივი განათებისა და განიავების შესაძლებლობა, სველი წერტილი ნიჟარით. სამედიცინო კაბინეტის მოწყობილობა აკმაყოფილებს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/ სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის(კაბინეტი/პუნქტი)ფუნქციონირების წესის მუხლი 3-ით განსაზღვრულ ყველა მოთხოვნას, პუნქტი 5-ის გარდა. დასაქმებულია ექთანი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს პირველად დახმარებას.ექთნის მიერ წარმოებული დოკუმენტაცია და ვალდებულებები, კანონმდებლობის შესაბამისია. 2025 წლის 22.09-ის N 01-02-15 ბრძანებით დამტკიცებულია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი. დოკუმენტით განსაზღვრულია პირველადი გადაუდებელიდახმარების ძირითადი ელემენტები და განსახორციელებელი ქმედებები. ვიზიტის პერიოდშია ადგილზე დათვალიერებისას გამოიკვეთა , რომ სკოლის სამედიცინო კაბინეტში პარალელურად ფუნქციონირებს თემის სამედიცინო პუნქტი. რომლის ფუნქციონირებაც არ არის შეთანხნებული აჭარის განათლებისა და სპორტის სამინისტროსთან

- ***სკოლას არ ქონდა სამედიცინო კაბინეტში ხელოვნური ბარიერი (გამყოფი პანელი, ტიხრული შირმა) მეორე გამოყოფილი მცირე გასასინჯი სივრცე. პაციენტის გასინჯვისას პრივატულობის უზრუნველყოფის მიზნით.***

  სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც 2026 წლის 10.09. -მდე სკოლის ბიუჯეტით შეძენილ იქნება ხელოვნური ბარიერი (გამყოფი პანელი, ტიხრული შირმა).

- ***სკოლის სამედიცინო კაბინეტში, თემის სამედიცინო პუნქტის ფუნქციონირება არ იყო შეთანხმებული აჭარის განათლებისა და სპორტის სამინისტროსთან***

  სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც 2028 წლის 10.09. -მდე შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურის ჩართულობით, თემის ამბულატორიის გადატანა განხორციელდება „სოფლის სახლში".

ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სკოლას ჰყავს შესაბამისი კვალიფიციური სკოლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგი დაცულია. წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც იკრიბება სემესტრში ორჯერ და განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მასწავლებლების, მოსწავლეების, კანონიერი წარმომადგენლების მიერ იდენტიფიცირებული პრობლემებისა და მათ მიერ შეთავაზებული გადაწყვეტის გზებს. მიღებულ ინფორმაციებზე დაყრდნობით შეიმუშავებს რეკომენდაციებს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ და სხვა. სკოლა წესრიგის დაცვის მიზნით, პრევენციისათვის პერიოდულად ატარებს საგანმანათლებლო-საინფორმაციო შეხვედრებს მოსწავლეებისა და მშობლებისათვის. მოსწავლეებისათვის მოსწავლის უფლებებისა და წესების გაცნობა ხდება დამრიგებლების მიერ. სკოლას შემუშავებული აქვს ასევე მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი, რომლის შესაბამისადაც, მასწავლებლები ყოველდღიურად აკონტროლებენ შენობის ყველა სართულს. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, სკოლას ჰყავს დარაჯი, რომელიც აწარმოებს შესაბამის რეესტრს და აკონტროლებს სკოლაში უცხო პირთა შემოსვლასა და გადაადგილებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია .**

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლაში შექმნილია მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო. სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი კლასის საათის თემები ითვალისწინებს მოსწავლეებში ემოციური და სოციალური უნარების განვითარებაზე ზრუნვას. მოსწავლეები სკოლის შინაგანაწესის მოთხოვნების გათვალისწინებით თავად ქმნიან კლასში ქცევის წესებს, სკოლაში ეწყობა მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენები. მიმდინარე სასწავლო წელს სკოლის მოსწავლეების ჩართულობით ჩატარდა სხვადასხვა ხასიათის ღონისძიებები ბულინგის და ჯანსაღი ცხოვრების წესის თემებზე, რაც ხელს უწყობს მოსწავლეების სოციალიზაციას. პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ პოზიტიურია მასწავლებელთა და ადმინისტრაციის თანამშრომელთა ურთიერთობებიც. ამ ეტაპზე სკოლას ფსიქოლოგი არ ჰყავს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. ამ მიზნით შემუშავებული და დამტკიცებულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმის დაცვის მექანიზმები და ადამიანური რესურსების და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტი (ბრძ.N2-21 03/04/2025 , მუხლი N9) დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია: სანიტარულ- ჰიგიენურ საშუალებებზე პასუხისმგებელი პირი. სკოლას ემსახურება კვალიფიციური ექთანი და დამლაგებლები.სკოლა უზრუნველყოფილიაწყლის უწყვეტი მომარაგებით და სანიტარულ - ჰიგიენური საშუალებით. შენობაში ფუნქციონირებს 4 სველი წერტილი 2 გოგონების 2 ბიჭების.

სკოლის ინფრასტრუქტურის დათვალიერებისას დადგინდა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ფართში ადაპტირებული სველი წერტილი არ არის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლის პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები ითვალისწინებს პერსონალური მონაცემების დამუშავების უფლების მქონე პირების წვდომას მხოლოდ მათთვის საჭირო ინფორმაციაზე, მათ პასუხისმგებლობას ინფორმაციის დაცვაზე. კონფიდენციალურობის დაცვის პრინციპს ითვალისწინებს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტიც, ასევე, სკოლის შინაგანაწესი ითვალისწინებს ინფორმაციული უსაფრთხოების რეგულაციებს, ხოლო დასაქმებულის დისციპლინურ გადაცდომად ითვლება პეროსნალური მონაცემების გამჟღავნება და კონფიდენციალურობის დარღვევა. კლასის დამრიგებლები მშობლებს მოსწავლეების შესახებ კონფიდენციალურ ინფორმაციას აწვდიან ინდივიდუალური შეხვედრების დროს. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ეტაპზე დადგინდა, რომ სკოლას განსაზღვრული ჰყავდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელიც არის

შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანამშრომელი. მშობლებთან და თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების გადამოწმებისას დადგინდა, რომ სუბიექტის თანხმობა პერსონალური ინფორმაციის დამუშავებაზე, შეადგენდა გაფორმებული ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს, რაც ეწინააღმდეგება ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონს. კერძოდ, წერილობითი თანხმობა გამოყოფილი უნდა იყოს ხელშეკრულების ძირითადი ტექსტიდან და თანხმობის სხვა კანონით განსაზღვრულ კრიტერიუმებთან ერთად, გათვალისწინებული უნდა იყოს თანხმობის გაცემის ნებაყოფლობითობის პრინციპი, რაც იყო დარღვეული.

რჩევა: სასურველია მშობელთან გაფორმდეს განახლებული ხელშეკრულებები, რითაც გასწორდება ხარვეზი მონაცემების დამუშავების თანხმობის გაცხადების ფორმასთან დაკავშირებით.

სკოლას არ ჰყავდა ბრძანებით განსაზღვრული, ვიდეო მონიტორინგის დროს ჩანაწერის წვდომაზე და მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირი.

სკოლამ წარმოადგინა სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის ხაბელაშვილების საჯარო სკოლის ვიდეომონიტორინგის სისტემაზე წვდომაზე და მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის, დირექტორის 2026 წლის 27.03-ის 01-02/08 ბრძანება

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის შემდეგი მექანიზმები: სკოლის დირექციისა და ადმინისტრაციის თანამშრომლებს, რომლებიც ამუშავებენ პერსონალურ მონაცემებს, აქვთ ინდივიდუალური კომპიუტერები, რომლებიც დაცულია პაროლის სისტემით. კომპიუტერებზე დაყენებულია ანტივირუსული პროგრამები, ელექტრონულ სისტემებში (eschool, eflow, ელ ფოსტა, ელ. ჟურნალი) შესვლა ხორციელდება სპეციალური მომხმარებლის პაროლებით და სახელებით. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია ინფორმაციული უსაფრთხოების რეგულაციები, ხოლო შინაგანაწესი ხელმისაწვდომია ყველასთავის. კლასის დამრიგებლებს ევალებათ მოსწავლეებს გააცნონ ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

სკოლაში უსაფრთხოების საკითხებზე პასუხისმგებელი პირების მხრიდან პერიოდულად ხორციელდება ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების კონტროლი. მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე განხილული საკითხებით დასტურდება სკოლის მხრიდან უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვაზე მეთვალყურეობა, მდგომარეობის შეფასებადა გაუმჯობესების გზების დასახვა. სასკოლო საზოგადოებსი წევრებმა გასაუბრების დროს დააფიქსირეს, რომ სკოლაში დაცულად და უსაფრთხოდ გრძნობენ თავს.

რჩევა: სასურველია უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების შესამოწმებლად პერიოდულად ჩატარდეს გამოკითხვა (შესაძლოა ანონიმური), ხოლო პროცესზე დაკვირვების მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, განახორციელდეს დაკვირვების ფორმების შემუშავება. მიღებული შედეგების და ანალიზის დოკუმენტირება, საშუალებას იძლევა შეფასდეს უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების ეფექტურობა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამედიცინო სივრცის ფუნქციონირების დებულება;
- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი;
- საქმისწარმოების წესი;
- უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა;
- სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოების წესრიგის დაცვის წესი;.
- სშსს. სახელმწიფო საქვეუწყები დაწესებულება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს წერილი MIA. 02501426582 2025.13.05 ;
- სკოლის დირექტორის 2025წლის 19.05-ის წერილი MES 9 25 0000540297, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს;
- სკოლის დირექტორის 2025წლის15.04-ის წერილი MES. 1 25 0000413290, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმი.

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების მღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; კერძოდ, დაწესებულება მდებარეობს შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაბელაშვილებში. სკოლას სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსგან უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით, გადაცემული აქვს მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1 - საერთო ფართით 1550,5 კვ.მ. და შენობა-ნაგებობა N2 (საქვაბე). სკოლის შენობა ორსართულიანია. სკოლის შენობაში განთავსებულია 13 საკლასო ოთახი, ფუნქციონირებს 12 ფინანსური კლასი. დირექტორის კაბინეტი, კანცელარია, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, სამედიცინო კაბინეტი, შიდა სპორტული დარბაზი, კომპიუტერული ლაბორატორია. სკოლას აქვს ვრცელი, შემოღობილი ეზო, სპორტის შიდა დარბაზი აღჭურვილია ინვენტარით. კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია კომპიუტერებით და პროექტორით. კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებულია 3 პერსონალური კომპიუტერი. 17 პორტატული კომპიუტერი (ნოუთბუქი), ბუქები მასწავლებელთა გამოყენებისთვის, პროექტორები, პრინტერი და სხვა ტექნიკური მოწყობილობები. დაწესებულების ბალანსშეა 100 -ზე მეტი მოსწავლის მერხისა და სკამის კომპლექტი, რომლებიც სხვადასხვა კატეგორიისა და ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ საჭიროებებს.საკლასო ოთახები აღჭურვილია საჭირო რაოდენობის მერხებით და სკამებით, მასწავლებლის მაგიდებით და სკამებით, დაფებით, კომპიუტერებით, მონიტორეიბით, პროექტორებითა და პრინტერებით. სკოლაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია .

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის

სკოლაში ხორციელდება აქტივობები, პროექტები, რომლის დროსაც გამოიყენება სასკოლო მატერიალური რესურსები და სივრცეები. სკოლას განსაზღვრული აქვს კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის მოკლე ინსტრუქცია, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები.სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი არის თანაბრად ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოებისათვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

სკოლაში მოწყობილია ბიბლიოთეკა, რომელსაც მართავს ბიბლიოთეკარი. ბიბლიოთეკაში განთავსებული წიგნები დანომრილია, ბეჭედ დარტმულია, აღრიცხულია ელექტრონულად და გატარებულია სპეციალურ სარეგისტრაციო ჟურნალში. ბიბლიოთეკაში მოწყობილია სამკითხველო სივრცეც. დამონტაჟებულია პროექტორი და ეკრანი.ბიბლიოთეკის აღჭურვა თანამედროვე ტექნოლოგიებითა და ავეჯით, გრანტით მოგებული პროექტია სკოლისთვის და დაფინანსდა აჭარის განათლებისა და სპორტის სამინისტროს მიერ. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. ბიბლიოთეკის დებულება (2025წლის 15.09. ბრძანება N01-02/09). არეგულირებს ბიბლიოთეკარის მოვალეობებს, რომლითაც უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო სერვისის ხელმისაწვდომობა. კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა, აღჭურვილია როგორც მხატვრული წიგნადი ფონდით, ისე მეთოდური ლიტერატურით (რომელიც ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის).

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სკოლის ინფრასტრუქტურა ნაწილობრივ ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს; სკოლაში უზრუნველყოფილია ინკლუზიური განათლების განხორციელებისთვის საჭირო საბაზისო პირობები. კერძოდ, სკოლის პირველი სართულზე შესასვლელში მოწყობილია პანდუსი. სკოლას არ აქვს

მოწყობილი ადაპტირებული სველი წერტილი, რესურს ოთახი და შიდა კიბეებზე ადაპტირებული ასასვლელი პანდუსი. ვიზიტის პერიოდში არ ირიცხებოდა სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლე. სკოლის ადმინისტრაცია მუდმივად ცდილობს შექმნას ინკლუზიური გარემო როგორც ინფრასტრუქტურის მოწესრიგებით, ასევე შესაბამისი რესურსების უზრუნველყოფით.

რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში რესურს ოთახის, ადაპტირებული სველი წერტილის და შიდა კიბეებზე ადაპტირებული ასასვლელი პანდუსის მოწყობა.(2026წ.იანვარი-2028წ.იანვარი)

ინდიკატორი ნაწილობრივ დაკმაყოფილებული.

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას; ის ფაქტი, რომ სკოლის მრავალფეროვანი რესურსებით სარგებლობის საშუალება აქვს სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებს (რაც აღწერილია 3.5.1.2 ინდიკატორში), განაპირობებს დაწესებულების წამყვან როლს ახალგაზრდებისა და მათი ოჯახის წევრების სოციო-კულტურული განვითარების პროცესში.**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- სკოლის საზიარო სივრცის გამოყენების გზამკვლევი;
- 2025 წლის ინვენტარიზაციის ოქმი;
- ბიბლიოთეკის დებულება (2025წლის 15.09. ბრძანება N01-02/09);
- სამედიცინო სივრცის ფუნქციონირების დებულება.

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლის კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია კომპიუტერებით. სკოლას ბალანსზე ერიცხება 23 ერთეული კომპიუტერი, საიდანაც 7 კომპიუტერი განკუთვნილია დირექციის და ადმინისტარციის წევრების, ასევე მასწავლებლების სამუშაოდ. დაწყებითი კლასების მასწავლებლებს გადაცემული აქვთ პერსონალური კომპიუტერები, რომელსაც იყენებენ სასწავლო პროცესში. დაწყებითი კლასების მოსწავლეები აღჭურვილები არიან პორტატული კომპიუტერებით. სკოლას ბალანსზე ერიცხება 5 პროექტორი,4 ნოუთბუქი, და 5 პრინტერი. ამრიგად, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტარციული და სასწავლო რპოცესის სრულყოფილად წარმართვას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლას შემუშავებული აქვს საზიარო სივრცის გამოყენების გზამკვლევი.განსაზღვრულია ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირი . დოკუმენტში აღწერილია ინფორმაცია სკოლაში არსებული კომპიუტერული ტექნიკის შესახებ. სკოლაში არის საზიარო სამუშაო სივრცე, კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ ნებისმიერ მოსწავლეს ან/და მასწავლებელს შეუძლია სკოლის კომპიუტერული ტექნიკის გამოყენება, როგორც საშინაო დავალებების შესასრულებლად, ისე პრეზენტაციების, ონლაინ ჟურნალში სამუშაოდ. მოსწავლეები და მასწავლებლები ქმნიან სასწავლო რესურსებს ინტერნეტისა და ტექნიკის მეშვეობით. სკოლაში ჩამოყალიბებულია კლუბი ,,წიგნიდან ეკრანამდე", ფიზიკის კლუბი,,ევრიკა"სადაც მოსწავლეები უზიარებენ ერთმანეთს სიახლეებს და გამოცდილებას, სხვადასხვა სახის რესურსებისა და პროგრამების გამოყენებით ქმნიან პროექტებს.

რჩევა:სასურველია სკოლამ, სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის თანაბრად ხელმისაწვდომობისა და მიზნობრივად გამოყენების უზრუნველსაყოფად, შეიმუშაოს უფრო დეტალური შიდა რეგულაცია და დაარეგულიროს ტექნიკით სარგებლობის პირობები (სარგებლობის მიზნების, უსაფრთხოების ზომების, მოსარგებლის უფლებებისა და მოვალეობების, პასუხისმგებლობის ფორმების და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების მითითება)

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ციფრული განვითარების გეგმა;

- საზიარო სივრცის გამოყენების გზამკვლევი;
- ვიზუალური დათვალიერება;
- სკოლის 2025 წლის 08.12.ინვენტარიზაციის ბარათი.(ფორმა N2).

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც არეგულირებს საქმისწარმოების ერთიან წესებსა და პროცედურებს. საქმისწარმოების სისტემის ორგანიზებასა და დოკუმენტების დამუშავებას ახორციელებს საქმისმწარმოებელი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მისი ფუნქცია-მოვალეობები დეტალურად არის განსაზღვრული შრომითი ხელშეკრულებით. საქმისმწარმოებელი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას და სხვა. სკოლაში შემოსული და გასული დოკუმენტაციის რეგისტრაცია ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის e-flow მეშვეობით. შესაბამისად, სარეგისტრაციო ნომრისა და თარიღის მინიჭება ხორციელდება ელექტრონულად. სკოლა შიდა დოკუმენტაციის აღრიცხვის მიზნით აწარმოებს სარეგისტრაციო ჟურნალებს. საკადრო ბრძანებების ჟურნალში ტარდება დასაქმებულებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, ხოლო საერთო ბრძანებებში აღირიცხება მოსწავლეთა მოძრაობა (ჩარიცხვა ამორიცხვა, მობილობა, სტატუსის შეჩერება და სხვა). სკოლას აქვს ასევე შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი, რომელიც აკინძულია, ბონარგაყრილია, დანომრილია და დამოწმებულია სკოლის ბეჭდითა და დირექტორის ხელმოწერით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (Eflow). ასევე, სკოლის მოსწავლეთა და თანამშრომელთა ინფორმაციის დეტალურად ასახვა ხდება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool). აღნიშნულ სისტემაში ხორციელდება ასევე მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვაამორიცხვის შესახებ ინფორმაციის ასახვა. სკოლას აქვს ელექტრონული ჟურნალი, რომლის საშუალებითაც ხდება მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვა, შეფასება, მშობლებთან კომუნიკაცია. ელექტრონულ ჟურნალში შესაძლებელია ასევე სკოლის ღონისძიებების, გაკვეთილების ცხრილის, გამოცდებისა და მოსწავლისთვის განკუთვნილი საშინაო დავალებების შესახებ ინფორმაციის შემოწმება. გარდა ამისა, სასკოლო საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის მიღება-გავრცელებისათვის სკოლა აქტიურად იყენებს ელექტრონული ფოსტას.khabelashvilebi@mes.gov.ge და სკოლის სოციალური ქსელის გვერდს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

ვიზიტის დროს შემოწმდა სკოლის eSchool-ის ელექტრონული ბაზა, რომელშიც ყველა სავალდებულო ველი შევსებულია სრულყოფილად. აღნიშნულ სისტემის საშუალებით ხდება ასევე მოსწავლის მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის, კლასის ცვლილების განხორციელება, ფიქსირდება სამეურვეო საბჭოს არჩევნების შედეგები, სახელმძღვანელოების არჩევა-აღრიცხვა, საგაკვეთილო ცხრილებისა და განრიგის შეტანა. E-School-ის სისტემაში სკოლა ასევე განსაზღვრავს პირველკლასელთა ლიმიტს, ახორციელებს საფეხურის დაძლევას და მოსწავლეთა ამორიცხვას. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის ბარათი განახლებულია. სრულყოფილად არის შევსებული ასევე მასწავლებელთა პროფილები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა ეფექტურად თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან. სკოლა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან კომუნიკაციას ამყარებს საგანმანათლებლო რესურსცენტრის საშუალებით. სკოლას საქმისწარმოების წესით განსაზღვრული აქვს ანგარიშგებებისა და შემოსულ კორესპოდენციაზე რეაგირების პერიოდები და პროცედურები. შემოსულ კორესპოდენციაზე პასუხისმგებელი პირია საქმისმწარმოებელი. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირს და ინფორმაციას საგანმანათლებლო მარეგულირებელ უწყებებს. ყოველი კალენდარული წლის ბოლოს, სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშს ფინანსური და სასწავლო წლის მიმდინარეობის შესახებ, ხოლო ყოველი წლის 10 დეკემბერს წარუდგენს საქართველოს პარლამენტს, პრემიერ მინისტრს, პრეზიდენტსა და საკანონმდებლო მაცნეს საჯარო ინფორმაციის წარდგენის შესახებ ანგარიშს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის საქმისწარმოების წესი;
- საქმისმწარმოებლის შრომითი ხელშეკრულება;
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
- ერთიანი ელექტრონული სისტემა;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი დირექტორის წლიურ ანგარიშთან დაკავშირებით;
- სარეგისტრაციო ჟურნალები.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას აქვს ვებ. გვერდი და ასევე სოციალური ქსელში შექმნილი პროფილი,რომელიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. სოციალური ქსელის არხი არის ღია, საჯარო და ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. ვებ-გვერდი და სოციალური ქსელი განახლებადი და ინფორმატიულია, მასზე წარმოდგენილი ინფორმაცია - საკანონმდებლო აქტები, განხორციელებული აქტივობები, მიღების წესები, სკოლის შესახებ სიახლეები და სხვა საჭირო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთერთობის / კომუნიკაციის წესი, რომელიც არეგულირებს საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის გავრცელების პრინციპებს და სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაციის უტყუარობას. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია ვებგვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლაში საზოგადოებრივი აზრის მაქსიმალურად გათვალისწინების მიზნით პერიოდულად ტარდება გამოკითხვები მოსწავლეებს, მშობლებს, მასწავლებლებს შორის, რათა მათი მოსაზრებების საფუძველზე გამოვლინდეს სკოლის საქმიანობისათვის აუცილებელი საჭიროებები. სკოლა ამისათვის აქტიურად იყენებს ელექტრონული გამოკითხვის პლატფორმებს. წარმოდგენილია კითხვარები, რომლებიც ავტომატურად გენერირდება და მარტივად ახდენს სკოლა მონაცემების მიღებას. მიღებული უკუკავშირები (მონაცემები და ინფორმაცია), გამოიყენება საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლის ვებ. გვერდზე ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებ -გვერდზე განთავსებულია ინდიკატორით მოთხოვნილი სრული ინფორმაცია, რომელთა ნაწილიც მოცემულია ნარატიული სახით, ხოლო ნაწილი გაწერილია ვებ-გვერდზე განთავსებულ მარეგულირებელ დოკუმენტებში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვე გვერდი;
- სკოლის სოციალური გვერდი.

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლა უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით. სკოლის დაფინანსების ძირითადი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება. გარდა ამისა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სკოლას ურიცხავს მასწავლებელთა დანამატს. სკოლის დირექტორი თანხებს განკარგავს სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებული სკოლის ბიუჯეტით, რომლის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია დაწესებულების სავარაუდო შემოსავლები, მომდევნო წლის პრიორიტეტები – სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული, სავარაუდო ხარჯები, ასევე, საბიუჯეტო პოლიტიკა და კალენდარი. ბიუჯეტის დაგეგმვისას სკოლა ითვალისწინებს კონკრეტული წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულებისთვის საჭირო ფინანსური რესურსის განაწილების პრინციპს. გარდა ამისა, სკოლის თანამშრომლებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ სკოლის ბიუჯეტის დაგეგმვისთვის საგნობრივი კათედრები მათ საჭიროებებს აცნობენ დირექციას. დირექტორი ბუღალტერთან ერთად იკვლევს საჭიროებებს, შეადგენს ბიუჯეტის პროექტს, რომელსაც განიხილავს და ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა მოხდეს ბიუჯეტის კორექტირება. თანხის განკარგვა მიზნობრივია და სრულად ხმარდება სკოლის განვითარებასა და სწავლა-სწავლების პროცესს. გარდა ამისა, სკოლის მომდევნო წლის შესყიდვების გეგმას ადგენენ წინა წლებისა და ბაზრის კვლევის გათვალისწინებით და ამტკიცებენ მიმდინარე წლის 20 ნოემბრამდე. ყოველი

წლის 10 დეკემბრამდე სკოლის დირექტორი წარსდგება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე წლის ფინანსური ანგარიშით, რაც დასტურდება სამეურვეო საბჭოს ოქმით

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის, დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის, ეფექტიანი სისტემა. ბიუჯეტის დაგეგმვა ხდება წინა წლის მონაცემების დამუშავებით, გათვალისწინებულია ასევე შესყიდვების გეგმის შესრულების ხარჯვითი ნაწილი, განსაზღვრულია ახალი საჭიროებები, გათვალისწინებულია სკოლის ბიუჯეტის ოდენობა, რაც რჩება ხელფასის, კომუნალური და სხვა აუცილებელი ხარჯების შემდეგ. სკოლა თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, შესყიდვების გეგმა შედგენილია ბაზრის კვლევის საფუძველზე. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს წესი ,,სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" დანართში ცვლილების შეტანის თაობაზე, რომლის მთავარი მიზანია სახელმწიფო შესყიდვების ფაქტობრივად განხორციელებისა და ფულადი სახსრების რაციონალურად ხარჯვის უზრუნველყოფა, შესყიდვების პროცესების გამჭვირვალობა და სუბიექტური გადაწყვეტილებების აღმოფხვრა. გეგმის შექმნამდე სკოლა ითვალისწინებს კათედრების მიერ მიწოდებულ ინფორმაციას სასკოლო კურიკულუმებისა და პროექტების განსახორციელებელი საჭირო რესურსების შესყიდვების შესახებ. სკოლას განსაზღვრული ჰყავს ბაზრის კვლევაზე უფლებამოსილი პირი. საჭიროების შემთხვევაში ინდ.ქტით შეტანილია ცვლილებები შესყვიდვების გეგმაში. შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავების დროს, სკოლას გათვალისწინებული აქვს პოტენციური მიმწოდებლების გამოვლენისა და შემსყიდველი ორგანიზაციისათვის მისაღები ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის მიზნით ბაზრის გამოკვლევის შედეგები. 13 შესყიდვის ობიექტის საორიენტაციო ღირებულების დადგენის მიზნით, გეგმის დამტკიცებამდე, ბაზრის კვლევა განხორციელებულია შემდეგი მეთოდებით: ა) www. procurement. gov.ge-ზე (spa.ge-ზე კვლევის განაცხადის განთავსება; ბ) ინტერნეტ სივრცეში პოტენციური მიმწოდებლის მოძიება; გ) სხვა ორგანიზაციების გამოცდილების გათვალისწინება (შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდის დათვალიერება/ანალიზი); დ) წინა წლების შესყიდვების გამოცდილების ანალიზი (ხელშეკრულებების შესწავლა); ე) სატელეფონო კვლევა; სკოლის დირექტორის 17.11.2025 წლის N01-02-28 ბრძანებით, დამტკიცებულია სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს ოქმი სკოლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ;
- შესყიდვების წესისა და გეგმის დამტკიცების ბრძანება;
- ბრძანება შესყიდვების კოორდინატორისა, გეგმის კორექტირებისა და ატვირთვაზე პასუხისმგებელი პირის;
- წლიური ფინანსური ანგარიში;
- სახელმწიფო შესყიდვების გეგმა.

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დამატებითი დოკუმენტის დანართი N15-ის (სკოლის ჩარჩო რეგულაციის დოკუმენტი მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ) მიხედვით დაწესებულებას შექმნილი აქვს მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმები. სკოლა მოსწავლეთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად ქმნის მოსწავლეთა უფლებების დაცვის შემსწავლელ კომისიას და განსაზღვრავს მის ფუნქცია-მოვალეობებს, ირჩევენ პასუხისმგებელ პირს. კომისიაში შედის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, ფსიქოლოგი, მშობლები და მოსწავლეები. კომისია უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებების დარღვევების ფაქტებზე მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის საჩივრების რეგისტრაციას და მისი განხილვისთვის საჭირო პროცედურების განხორციელებას. დირექტორს ბრძანებით N 01-02/20 დამტკიცებული აქვს მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც სკოლა ვალდებულია უზრუნველყოს მოსწავლეთა უფლებების დაცვა. სკოლას ჰყავს ბრძანებით განსაზღვრული უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სასკოლო საზოგადოებისათვის რეგულაციების გაზიარების მიზნით სკოლაში შემუშავებულია შესაბამისი მექანიზმები. კერძოდ დამრიგებელი ვალდებულია სასწავლო წლის დასაწყისში გააცნოს მოსწავლეებსა და მშობლებს/კანონიერ წარმომადგენელს შინაგანაწესი და მათი უფლება-მოვალეობები. შინაგანაწესში განხორციელებული ცვლილებების გაცნობა უნდა მოხდეს არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში. შინაგანაწესი გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

ვიზიტის დროს გადამოწმდა მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები და დადგინდა, რომ ხელშეკრულებებში ასახულია მხარეთა უფლება-მოვალეობები, მოსწავლის უფლებები და ვალდებულებები. ასახულია ასევე ინფორმაცია მოსწავლის პერსონალური მონაცემთა გამოყენების შესახებ, სასწავლო, დასვენების და უქმე დღეების შესახებ, დაზუსტებულია ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი, დავის გადაწყვეტა, მხარეთა რეკვიზიტები და დამატებითი პირობები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- სკოლის ჩარჩო რეგულაცია მოსწ. უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ;
- ბრძანება N 01-02/20, მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის დოკუმენტი;
- მშობელსა და სკოლას შორის დადებული ხელშეკრულებები;
- დამრიგებლის დებულება.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლას დირექტორის ბრძანების (01-02/18) საფუძველზე დამტკიცებული აქვს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობისა და სტატუსის შეჩერების წესი. დოკუმენტის მიხედვით აღნიშნული ინფორმაციის საჯაროობას უზრუნველყოფს დაწესებულება, აღნიშნული დადასტურდა ვიზიტის დროსაც, კონკრეტულად საინფორმაციო დაფაზე სკოლას გამოკრული აქვს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობისა და სტატუსის შეჩერების წესი, გაბიარებული აქვთ ასევე სკოლის ვებგვერდსა და სოციალური ქსელის გვერდზე. სასწავლო წლის დასაწყისში სკოლა აწყობს ღია კარის დღეს და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს აცნობს სასკოლო საზოგადოების წევრებს(შინაგანაწესს, სასკოლო სასწავლო გეგმას და აშ).

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

ვიზიტის პერიოდში გადამოწმდა დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებები, რითაც დასტურდება, რომ მოსწავლეების ჩარიცხვა და ამორიცხვა განხორციელდა ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N40/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის“ შესაბამისად. სკოლა დროულად ახდენს მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებას მოსწავლის ჩარიცხვისა და სტატუსის შეჩერების შესახებ. კლასის დამრიგებლები მიმართავენ მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს გაკვეთილების გაცდენებთან დაკავშირებით და აცნობენ მოსალოდნელ შედეგებს. ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ სკოლას აქვს მზაობა დაიცვას მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი

ვიზიტის დროს სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამებისა და მათი სპეციფიკის, დადგენილი საფასურის (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკისა და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაციას აცნობენ მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს სასწავლო წლის დაწყებამდე, დამრიგებლების მეშვეობით. კლასის ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან გააცნონ ასევე შინაგანაწესი, სახელმღვანელოების ნუსხა, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები, სასკოლო რესურსების გამოყენების წესები, სასკოლო სასწავლო წლის გეგმა, შეფასების სისტემა და სხვა დაგეგმილი აქტივობებისა თუ ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია. შინაგანაწესი სკოლაში გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე, ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია. .

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

სკოლაში განცხადებები პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად იკვრება საინფორმაციო დაფაზე, ბიარდება სოციალურ გვერდზე, ვებ-გვერდზე პერსონალური მონაცემების დაცვის წესის შესაბამისად. სკოლა მოსწავლის პერსონალურ მონაცემებს არ ავრცელებს მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ნებართვის გარეშე. დაწესებულება სასკოლო ღონისძიებებისა თუ აქტივობების შესახებ ინფორმაციას ავრცელებს სოციალური ქსელის საშუალებით, ინფორმაცია კანონმდებლობის შესაბამისია, გამჭვირვალე და არადისკრიმინაციულია.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობისა და სტატუსის შეჩერების წესი;

- შინაგანაწესი;

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

მუნიციპალიტეტის სოფელ ხაბელაშვილების საჯარო სკოლის დირექტორობის მოვალეობის შემსრულებლს 2026 წლის 2 თებერვლის N01-02-02 ბრძანებით დამტკიცებული აქვს ტრანზიციის დებულება, რომლის მიხედვითაც დაწესებულება საქმისმწარმოებლისა და დამრიგებლის საშუალებით ეხმარება მოსწავლეებს ადაპტაციაში. პირველი კლასის დამრიგებლები თანამშრომლობენ თემში ბაღებთან , აგროვებენ ინფორმაციას მომავალი პირველკლასელების შესახებ და მშობლებსა და ბავშვებს აცნობენ სკოლის სტრუქტურას, ეპატიჟებიან სასკოლო ღონისძიებებზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით მთელი გუნდი ერთობლივად, განსაკუთრებით დამრიგებლების დახმარებით უზრუნველყოფენ მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. თანამშრომლობენ საბავშვო ბაღთან, ეპატიჟებიან მომავალ პირველკლასელებს და აცნობენ სკოლას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

მოსწავლეები სკოლისაგან იღებენ სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად, რაც დაადასტურეს მასწავლებლებმა საგნობრივი ჯგუფის ექსპერტებთან გასაუბრების დროს. განმავითარებელ შეფასებას მოსწავლეები სისტემატურად იღებენ, დაწყებითი კლასის მოსწავლეები განმავითარებელ შეფასებას იღებენ მატერიალური სახით. განმსაზღვრელი შეფასება მოსწავლეებს ეცნობათ როგორც საგაკვეთილო პროცესში, ასევე ელექტრონული ჟურნალის მეშვეობითაც. მასწავლებლები აქტიურად იყენებენ ორივე სახის შეფასებას.

დამრიგებლები აქტიურად მუშაობენ და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით აცნობენ როგორც მოსწავლეებს, ასევე მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს შეფასებებსა და რეკომენდაციებს სხვადასხვა საგანში აკადემიური შედეგების გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

სკოლაში მოსწავლეთა უფლებების რეალიზებისთვის ფუნქციონირებს შინაგანაწესი, მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი, მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის წესი. ჩამოთვლილი დოკუმენტებში გაწერილი მოსწავლეთა უფლებები დაცულია სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან. სკოლაში ყველა ადმინისტრაციულ მომსახურებს მოსწავლე იღებს კანონმდებლობით დადგენილ, გონივრულ ვადებში. მასწავლებლები, დამრიგებლები მუდმივად მხარს უჭერენ მოსწავლეებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესითა და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. სკოლის მიერ შეთავაზებული, დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას. სკოლაში დემოკრატიული კულტურის ჩამოყალიბების მიზნით, იგეგმება მუდმივი თანამშრომლობა კათედრებს, დამრიგებლებსა და სამივე საფეხურის მოსწავლეებს შორის. არსებული შესაძლებობის შესაბამისად მასწავლებლები გეგმავენ და ატარებენ პროექტებს, მაგ. მათემატიკის კათედრამ ჩაატარა პროექტი :"ჩემი სოფელი რიცხვებში", სადაც მოსწავლეებმა შეაგროვეს სტატისტიკური მონაცემები სოფლის მაგალითზე და გააკეთეს დემოგრაფიული მონაცემების ანალიზი. სკოლის ორი მასწავლებელი გამარჯვებულია აჭარის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში „პროექტი ჩემს გაკვეთილზე" და აქტიურად მუშაობენ პროექტით გათვალისწინებული ამოცანების შესასრულებლად, ქმნიან სხვადასხვა შემოქმედებით და კრეატიულ ნამუშევრებს. სოფელში მდებარეობს ისტორიული ხაბელაშვილების ხიდი, ეთნოგრაფიული მუზეუმი, რასაც იყენებენ არაფორმალური განათლების მიმართულებით. აქტიურად მუშაობს პროექტი „კინო-კლუბი", რომელიც ტარდება სკოლის ბიბლიოთეკაში, ბიბლიოთეკის აღჭურვა თანამედროვე ტექნოლოგიებითა და ავეჯით, გრანტით მოგებული პროექტია სკოლისთვის და დაფინანსდა აჭარის განათლებისა და სპორტის სამინისტროს მიერ. მიმდინარე სასწავლო წელს სკოლას ჰყავს ასევე ორი გამარჯვებული მასწავლებელი აჭარის განათლებისა და სპორტის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში "პროექტი ჩემს გაკვეთილზე", რომელიც ითვალისწინებს საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით ჩართულობას. აღნიშნული ადასტურებს, რომ სკოლა უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლა მცირეკონტიგენტიანია და შესაბამისად არ უჭირთ მოსწავლეებისაგან უკუკავშირის მიღება. ამისთვის აღგენენ კითხვარს და ავსებინებენ მოსწავლეებს. მიღებულ შედეგებს აანალიზებენ კათედრაზე და შესაბამისად გეგმავენ სასწავლო პროცესს. მოსწავლეთა თვითმართველობის ინიციატივებით ტარდება შეჯიბრებები, მაგალითად გასულ წელს ჩაატარეს ინტელექტუალური შეჯიბრება რა? სად? როდის?, რომელშიც მონაწილეობის მისაღებად მოიწვიეს სხვა სკოლის მოსწავლეებიც. თვითმართველობის ინიციატივით ჩატარდა ასევე ღონისძიება „რამ შემნა ადამიანად“ და აშ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ტრანზაციის დებულება;
- პროექტებისა და აქტივობების დამადასტურებელი მასალები.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლაში მოსწავლეებისთვის კარირეული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით მხოლოდ სიტყვიერი რჩევა-დარიგებები ხდება მასწავლებლების მხრიდან. მუნიციპალიტეტში არის კოლეჯი, უნივერსიტეტი და დაწესებულებას ექსპერტთა მხრიდან მიეცა რჩევა გამოიყენოს ეს შესაძლებლობა, გააფორმოს მემორანდუმი და პერიოდულად დაგეგმოს სხვადასხვა აქტივობები ამ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით მოსწავლეებისთვის პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით მომსახურების შეთავაზების მიზნით. სკოლამ გამოხატა მზაობა აღნიშნული საკითხისადმი.

რჩევა: სკოლამ მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომი უნდა გახადოს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება, რისთვისაც შეიძლება როგორც შესაბამისი აქტივობების ინტეგრირება სადამრიგებლო პროგრამაში/კურიკულუმებში, ასევე შესაძლებელია გააფორმოს მემორანდუმი დაბაში არსებულ პროფესიულ სასწავლებელთან და განახორციელოს მრავალფეროვანი, თემატური აქტივობები სხვადასხვა პროფესიების გაცნობისა და პოპულარიზაციის მიზნით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

როგორც აღინიშნა პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით სკოლა არანაირ მომსახურებას არ სთავაზობს მოსწავლეებს, თუმცა გამოხატეს მზაობა სამომავლოდ სხვადასხვა ღონისძიებები გაატარონ და მოსწავლეებსა და მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს მიაწოდონ ინფორმაცია კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

ადგილზე ვიზიტის პერიოდში, ინტერვიუირების დროს, სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებლებისათვის მიცემული რჩევებისა და რეკომენდაციების შემდეგ გამოიკვეთა, რომ სამომავლოდ სკოლა კარიერული დაგეგმვისა და პროეფსიული ორიენტაციის მიმართულებით მუშაობისას, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისთვის გაითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

რჩევა: პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის საკითხებზე გაწეული მომსახურების ხარისხის შემოწმების მიზნით, სკოლამ აწარმოოს პერიოდული გამოკითხვა და შედეგების ანალიზის დოკუმენტირება. ასევე, მიღებული შედეგების გათვალისწინებით შეადგინოს მომდევნო წლის გეგმა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დამრიგებლის პორტფელიო.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, თუმცა შემუშავებული და ბრძანებით (01-02/03) დამტკიცებული აქვს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია, რომლის მიხედვითაც სკოლას აქვს მზაობა სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების იდენტიფიცირება მოახდინოს და შესაბამისი მომსახურება შესთავაზოს მოსწავლეებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, თუმცა აქვს პანდუსი და ნაწილობრივ შესაბამისი ინფრასტრუქტურა, რომ არსებობის შემთხვევაში სსსმ მოსწავლეებს გაუწიოს შესაბამისი მომსახურება, გასაუბრების დროს გამოიკვეთა რომ მასწავლებლები და ადმინისტრაციის თანამშრომლები მზად არიან სსსმ მოსწავლეებს წინსვლასა და განვითარებას მხარი დაუჭირონ. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. *აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ მოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლას არ აქვს დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და აშ). მხოლოდ სატრანსპორტო მომსახურება აქვთ , რომელიც უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ქვეპროგრამის ფარგლებში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლას არ აქვს დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება, სასკოლო საზოგადოების სურვილის შემთხვევაში სკოლა მზად არის მომსახურება განახორციელოს, მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლაში დამატებით მომსახურებებს შორის არსებობს ტრანსპორტირების სერვისი, რომელიც ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. სხვა დამატებითი მომსახურება სკოლას არ აქვს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ტრანსპორტირების ანგარიშები.

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი იცვსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

☒☒☒☒☒☒☒☒☒ 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ **შეესაბამება** ☐**მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**

☒☒☒☒☒☒☒☒☒ 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** ***(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)***

სასკოლო კურიკულუმი **(საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)**	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**

კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

☒☒☒☒☒☒☒☒☒ 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **(საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)**	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ **შეესაბამება** ☐**მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა კურიკულუმში სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების საშუალებას. აღნიშნულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი) ინტერესები და შეხედულებები არის გათვალისწინებული. აზრთა გაზიარება, ინტერესებსა და შეხედულებებზე მსჯელობა მიმდინარეობს კათედრებზე, მშობელთა კრებებზე და საჭიროების შემთხვევაში სოციალური ქსელის მეშვეობით. მასწავლებლები, როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს ითვალისწინებენ გასული წლის გამოცდილებასაც, მშობლებსა და მოსწავლეებთან ატარებენ კვლევებს კითხვარების საშუალებით, მიღებულ შედეგებს კი იყენებენ კურიკულუმის შემუშავების დროს. მეთოდოლოგიის მიხედვით, როგორც საგნობრივი ჯგუფის ექსპერტები აღნიშნავენ, ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში საგნობრივი კათედრები განიხილავენ საგნის პედაგოგების მიერ შემუშავებულ ახალ საგნობრივ კურიკულუმებს წინარე გამოცდილების გათვალისწინებით. პედაგოგები სასკოლო კურიკულუმის შექმნასთან დაკავშირებული სიახლეების შესახებ ინფორმაციას აწვდიან მშობლებს პირისპირი შეხვედრებითა და მშობლის ბარათებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. კურიკულუმი შედგენილია მასწავლებლების, მშობლებისა და მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, ქართულის კურიკულუმებში ასახულია სკოლაში არსებული კლუბების მუშაობა. საგნობრივმა ჯგუფებმა ერთობლივი მუშაობით, მშობელთა ინტერესების, მოსწავლეთა ასაკობრივი დონისა და აკადემიური უნარების გათვალისწინებით, დაგეგმეს და განახორციელეს სასკოლო პროექტები.

მოსწავლის როლი წამყვანია კურიკულუმების განვითარებაში, რომლებშიც ჩაშენებული ყველა აქტივობა ეფუძნება მოსწავლეების უკუკავშირს, გამოცდილებას, ასაკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს, თვითშეფასებას და თანაშეფასებას, ამ პროცესის მხარდამჭერია სკოლა, როგორც

ერთიანი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს პოზიტიურ სასკოლო კლიმატს და ხელს უწყობს მოსწავლეების ინიციატივებისა და იდეების განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

ყველა საგნობრივი მიმართულება აღნიშნავს, რომ კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. კურიკულუმების შემუშავების პროცესში აქტიურად მონაწილეობენ კათედრები, ინდიკატორს ადასტურებს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც გაწერილია მოსწავლის, მასწავლებლის, მშობლის, კათედრის, ადმინისტრაციის როლი შემუშავების პროცესში. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა დაადასტურეს კურიკულუმის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების თანამონაწილეობა, რის მიხედვითაც იგეგმება შემდეგ მიზნობრივი აქტივობები. ნებისმიერ წევრს აქვს თავისი როლი და პასუხისმგებლობა კურიკულუმის განვითარებაში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

ყველა საგნობრივი მიმართულებით აღნიშნულია, რომ კურიკულუმები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების წევრებთან, კათედრები აზიარებენ კურიკულუმებისა და კომპლექსური დავალების იდეებს. როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს მასწავლებლები ატარებენ მშობლებთან საინფორმაციო შეხვედრებს, უგზავნიან ჯგუფებში ასევე მშობლის ბარათებს, კომპლექსური დავალების იდეებს, წინასწარ აცნობენ თუ რა რესურსები დასჭირდებათ ბავშვებს სასწავლო წლის განმავლობაში კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის დროს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- მშობელთა კრების ოქმები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბაზო საფეხურის ბიოლოგიის, ქიმიისა და ფიზიკის საგნობრივი კურიკულუმები და დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები საგანში „ბუნებისმეტყველება“ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისია. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები (1-ლი, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი დავალების იდეები კომპლექსური ბუნებისაა და ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და ახლოსაა მოსწავლეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და სასკოლო სასწავლო გეგმის შინაარსითა და გახორციელებული სასწავლო პროცესით, იქმნება მოსწავლეების შესაძლებლობების გამოვლენის პირობები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	შემუშავებულ კურიკუკუმებში ჩანს რომ მოსწავლეზეა ორიენტირებული (მე და საზოგადეობის და ჩვენი საქართველოს) გასუბრებისას პედაგოგებმა ისაუბრეს რომ დაგეგმეს და განახორციელეს რამდენიმე აქტივობა მაგ. ხაბელაშვილების ხიდის და სოფელში არსებული კუტურული ძეგლების მონახულება, სოფელში მდებარეობს ასევე ეთნოგრაფიული მუზეუმი, რაც მოსწავლებს საშუალებას აძლებს განუვითარდეთ შემოქმედებითი უნარები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლამ წარმოადგინა უცხოური ენების (ინგლისური ენა, რუსული ენა) მიმართულებით ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო – ცხრილები, რომლებიც მთლიანობაში წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ დაგეგმვისა და განვითარების გზას. არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მათ მიერ შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩო – ცხრილებში ძირითადად სწორად არის განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები (თუმცა მწირი და ერთფეროვანი, ძირითადად სახელმძღვანელო). შერჩეული შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას, ჩაერთოს სახალისო აქტივობებში და სრულად წარმოაჩინოს საკუთარი თავი. დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. ასევე, სკოლას აქვს ინტეგრირებული სწავლების პრაქტიკაც და ახორციელებს სხვადასხვა ტიპის პროექტებს. ვიზიტის დროს მოთხოვნილი დამატებითი დოკუმენტაციის სახით გამოგზავნილ კურიკულუმებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ მათ აქვთ მზაობა სრულყოფილად შეავსონ/გაასწორონ კურიკულუმები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე მტკიცებულებებით წარმოდგენილი საგნობრივი (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/ მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. თემატური ბლოკის ფარგლებში შერჩეული თემები, საკითხები, შემოქმედებითი დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. ამიტომ, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სამივე საფეხურზე შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის კურიკულუმები იმგვარადაა აგებული,რომ აქცენტი კეთდება საგნისათვის საჭირო კომპონენტებზე.ჩანს რა შემოქმედებითი პროდუქტი უნდა გამოიყენოს სწავლა-სწავლების პროცესში. კურიკულუმი დაგეგმილია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად და მიემართება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტს,წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმი სრულად ეფუძნება მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს და წარმოადგენს სასწავლო პროცესის სისტემურად დაგეგმვისა და განვითარების საფუძველს. კურიკულუმში მკაფიოდ არის განსაზღვრული სამიზნე ცნებები, თემები და საკითხები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს ცოდნის თანმიმდევრულ და ლოგიკურ განვითარებას.სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლე იყოს აქტიური მონაწილე — იგი თავად იკვლევს, აანალიზებს და ქმნის ახალ ცოდნას. ამის მაგალითია მათემატიკაში განხორციელებული კომპლექსური დავალება „მიუდგომელი ობიექტის ზომების განსაზღვრა“, სადაც მოსწავლეები პრაქტიკულად იყენებენ თეორიულ ცოდნას და დამოუკიდებლად გეგმავენ კვლევით პროცესს. ასევე, XI-XII კლასებში განხორციელებული პროექტი „ჩემი სოფელი რიცხვებში“ ხელს უწყობს მოსწავლეთა ინტერესებზე დაფუძნებულ სწავლას და მათ აქტიურ ჩართულობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზებზე. კურიკულუმის ფორმა ისე არის დაგეგმილი, რომ გათვალისწინებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით

	გათვალისწიებილი სტანდარტის მოთხოვნები და პრინციპები. კურიკულუმში გაწერილი თემები მორგებულია სკოლაში არსებულ მატერიალურ ბაზასა და ინვენტარს, რასაც ადასტურებენ ინტერვიუს მსვლელობის დროს სკოლის პედაგოგები. სკოლის პედაგოგმა აღნიშნა, რომ კურიკულუმის შედგენის დროს გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესები, შესაძლებლობანი და ასაკობრივი თავისებურებანი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისია. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი დავალების იდეები კომპლექსური ბუნებისაა და ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და ახლოსაა მოსწავლეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და სასკოლო სასწავლო გეგმის შინაარსითა და გახორციელებული სასწავლო პროცესით, იქმნება მოსწავლეების შესაძლებლობების გამოვლენის, სწავლისა და თანაბარი განვითარების ხელშემწყობი გარემო. ჩანს, რომ სკოლას და მასწავლებელს აქვს მზაობა სწორედ დაგეგმონ სასწავლო პროცესი, ორიენტირება მოახდინონ გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განსაზღვრონ საფეხურის დონეზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კლასების (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნება I–IVკლ, მე და საზოგადოება III–IVკლ) საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია საგნობრივ სტანდარტებზე დაყრდნობით და მიმართულია სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევაზე. გასაუბრებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეზეა ორიენტირებული, რისი დაგეგმვისა და განხორციელების გზას კურიკულუმები წარმოადგენს. შუალედურ მიზანზე გასვლისათვის წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც ემსახურება გრძელვადიან მიზანზე გასვლას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები ბიოლოგიაში, ქიმიასა და ფიზიკაში, ასევე დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რაც აისახება სამიზნე ცნებებსა და მასთან დაკავშირებულ საკითხებში. შემოქმედებითი დავალებების იდეები იძლევა საშუალებას, რომ მოსწავლეებს განუვითარდეთ კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, მიმართულება, საკითხი, დავალების იდეა, მაგალითი შედარებისთვის და რესურსი შინაარსობრივად სწორადაა აგებული, თუმცა ცნებების ფორმულირება უნდა იყოს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. რადგან ამ ეტაპზე სკოლას მე-2 კლასი არ ჰყავს, შესაძლოა ამიტომ არ გამოაგზავნეს კურიკულუმის ჩარჩო . **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	პედაგოგების მიერ შექმნილი კურიკულუმები (მე და საზოგადოება ჩვენი საქართველო) მორგებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაღვრულ გრძელვადიან მიხნებს და მიემართება სამიზნე ცნებებს. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში მე და საზოგადების მე-3 მე-4 კლასების კურიკულუმში გაწერილია ყველა სასწავლო თემა და საკითხთა კლასტერები ჩამოყალიბებულია შემოქმედებითი დავალების იდეები. თუმცა თითეული თემის ფარგლებში ვერ იფარება ყველა სამიზნე ცნება როგორც პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს საგნობრივი კურიკულუმები შექმნის და დახვეწის პროცესშია. ჩვენი საქართველოს მე-5 მე-6 კალასების საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილია ყველა სასწავლო თემა გამოყოფილია საკითხთა კლასტერები ცნებები და ნაწილობრივ შემოქმედებითი დავალების იდეები.სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტებიდან მტკიცდება რომ საშუალო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების (მოქალაქეობა გეოგრაფია ისტორია) არ დასტურდება რომ პედაგოგები ახორციელებენ შემოქმედებითი ტიპის დავალებებს, პედაგოგებთან საუბრისას მათ აღნიშნეს რომ აწყობენ სახვადასხვა აქტივეობებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოური ენების კურიკულუმები მიემართება ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. სასწავლო პროცესი ეფუძნება გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. ორივე უცხო ენის სამივე საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში შემოქმედებითი პროდუქტის იდეები წარმოდგენილია იმდაგვარად, რომ განსახორციელებელი აქტივობების ეტაპები აუცილებლად მოითხოვს ფაქტების ანალიზსს, იდეების გენერირებას, მოსაზრებების დაცვას, შედარებას, დასკვნების გამოტანას, პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას. კურიკულუმის ჩარჩო – ცხრილებში, განსაზღვრულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები, შესაბამისი რესურსები, რასაც უშუალოდ უკავშირდება

	შემოქმედებითი პროდუქტი. მათი განხორციელების პროცესში საჭირო იქნება ისეთი აქტივობების განხორციელება, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლეებისთვის ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა) განვითარებაზე. აღსანიშნავია, რომ სკოლაში ხორციელდებ მოპოვებული გრანტებით მაშტაბური პროექტები, რომელიც ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფხურზე წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნების სტანდარტების მოთხოვნებს. ძირითადად, გამოკვეთილია, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება საფეხურების მიხედვით განსაზღვრული საგნობრივი მოთხოვნების შესაბამისად , განსაზღვრულია თემატური ბლოკები/თემები/საკითხები ფარგლებში, სადაც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საფეხურების შედეგები და გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, მასთან დაკავშირებული ქვეცნებები. ამიტომ, შესაძლებელია დავასკვნათ სამივე საფეხურზე ინდიკატორთან შესაბამისობა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, სამიზნე ცნებების დამუშავება შეძლებისდაგვარად ხერხდება სავალდებულო თემის ფარგლებში. შერჩეული ძირითადი და დამხმარე ტექსტები,კონტექსტმაგალითები, შემოქმედებითი ბუნების დავალებები ხელს უწყობს ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას. თუმცა იკვეთება მცირე უზუსტობებიც, რაც გასაუბრების დროს დაკონკრეტდა და გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ გააზრებული აქვთ ესგ-ს საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული შედეგები, აგრეთვე, აქვთ მზაობა, რომ ყველა სამიზნე ცნება, მასთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები გაითვალისწინონ მომდევნო სასწავლო წელს კურიკულუმების შემუშავებისას და საბოლოოდ დახვეწონ საგნობრივი კურიკულუმები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	კურიკულუმი სრულად არის ორიენტირებული ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევაზე. მასში სწორად არის ინტეგრირებული სამიზნე ცნებები, თემები და საკითხები, რაც უზრუნველყოფს

	თითოეული საგნის შინაარსის შესაბამისობას სტანდარტებთან. დაგეგმილი აქტივობები და დავალებები ემსახურება არა მხოლოდ ცოდნის მიღებას, არამედ მაღალი სააზროვნო უნარების — ანალიზის, სინთეზის, შეფასების — განვითარებას. კომპლექსური დავალება მათემატიკაში ავითარებს პრაქტიკული პრობლემების გადაჭრის უნარს, ხოლო „ჩემი სოფელი რიცხვებში“ უზრუნველყოფს მონაცემთა ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარების განვითარებას. ინტეგრირებული გაკვეთილი ქართულსა და მათემატიკაში კი განსაკუთრებულად ემსახურება ცოდნის ტრანსფერის მიზანს — მოსწავლეები ახდენენ მათემატიკური ცნებების (სიმეტრია) გადატანას ლიტერატურულ და ხელოვნების კონტექსტში, რაც სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	წარმოგდენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებისაკენ (ფიზიკური თვისებები, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი, ცხოვრების ჯანსაღი წესი) (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), სამიზნე ცნებები და შედეგები); სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩანს სამიზნე ცნებები და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) ძირითადად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რაც აისახება სამიზნე ცნებებსა და მასთან დაკავშირებულ საკითხებში. კომპლექსური ბუნების დავალების იდეებში ჩანს რომ მოსწავლეებს განუვითარდებათ კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, ციფრული მოქალაქეობა. ჩანს, რომ მასწავლებელი იაზრებს საკითხის მნიშვნელობას და შეძლებს მის მოყვანას საგნობრივ სტანდარტთან შესაბამისობაში. თუმცა მე-3 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში სამიზნე ცნების გრაფაში, ნაცვლად სამიზნე ცნება „კომპიუტერის ფუნქციონირების პრინციპებისა“ წერია „კომპიუტერის აგებულება“. მოცემულ შემთხვევაში მიმართულება, საკითხი, დავალების იდეა, მაგალითი შედარებისთვის და რესურსი შინაარსობრივად სწორადაა აგებული, თუმცა ცნებების ფორმულირება არასწორია. საჭიროა სკოლამ სამიზნე ცნებების ფორმულირება მოახდინოს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. ასევე მე-2 და მე-3 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში დავალების იდეის ყველა გრაფა არ არის შევსებული, ყველა სამიზნე ცნების მიმართებაში არ არის წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალების იდეა. აქვე მინდა ავღნიშნო, რომ სკოლას მე-2 კლასი არ ჰყავს, თუმცა კურიკულუმის ჩარჩო გამოგზავნილია. ყველა კლასისთვის არ არის შერჩეული ერთი და იგივე კურიკულუმის ჩარჩოს ფორმა.

	ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი კლასების (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველების I-IVკლ, მე და საზოგადოება III-IVკლ) საგნობრივ კურიკულუმებში წარმოგენილია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული სამიზნე ცნებები და შედეგები. საკითხი/საკითხთა კლასტერი ამუშავებს სამიზნე ცნებებს. კომპლექსური (შემოქმედებითი) დავალებები, პროექტები, სხვადასხვა აქტივობები, მორგებულია შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების, ანალიზის, კომუნიკაციის უნარების განვითარებაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში შეინიშნება რესურსების სიმწირე-ძირითადად ესაა სახელმძღვანელო და ტელესკოლის გაკვეთილები.მართალია,ისინი უზრუნველყოფენ სასწავლო შედეგების მიღწევას,მაგრამ მიზანშეწონილად მივიჩნევთ რესურსების გამრავალფეროვნებას(ანიმაციები,შემეცნებითი ვიდეორგოლები და ა.შ). საბაზო საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში ფიზიკაში,ქიმიასა და ბიოლოგიაში უხვადაა წარმოდგენილი რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფენ სასწავლო შედეგების მიღწევას,მაგრამ სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია,რაც არ იძლევა საშუალება,სასწავლო პროცესში განხორციელდეს ექსპერიმენტები,დაკვირვებები,ძირითდი დატვირთვა ასეთ შემთხვევებში მოდის ვირტუალურ სიმულაციებზე.(https://ck12.edu.ge/; .https://www.virtuallabschool.org , https://phet.colorado.edu აგრეთვე უნდა აღინიშნოს,რომ სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, თუმცა შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქვს, რომ 2027 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოფს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის შექმნას, შესაბამისად **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს სასწავლო შედეგების მიღწევას, თუმცა რესურსების გამრავალფეროვნება აუცილებელია და პედაგოგებს მიეცათ რჩევა აღნიშნულთან დაკავშირებით გასაუბრების დროს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოური ენების (ინგლისური ენა, რუსული ენა) მიმართულების ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო – ცხრილებში უმეტესად სწორად არის განსაზღვრული ეროვნული სასწავლო გეგმის სტანარტით განსაზღვრული სასწავლო რესურსები – ძირითადად გრიფირებული სახელმძღვანელო, ასევე, ელექტრონული რესურსები, რომელებიც უზრუნველყოფენ მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლა აღჭურვილია თანამედროვე მატერიალური რესურსებითი. გასაუბებაზე მასწავლებლებმა ისაუბრეს სხვადასხვა რესურსების გამოყენებაზე სასწავლო საგნობრივ კურიკულუმებში შერჩეულია სასწავლო რესურსი, რომელიც ხელს უწყობს საკითხის/თემის სხვადასხვა კონტექსტში გააზრებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია..**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმში წარმოდგენილი რესურსები მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს შეესაბამება. ძირითადი აქცენტი გაკეთებულია შერჩეულ გრიფირებულ სახელმძღვანელოზე. შერჩეული რესურსები სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობასა და ცოდნის კონსტრუირებას უწყობს ხელს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	კურიკულუმში თანდართული და წინასწარ განსაზღვრული რესურსები სრულად უზრუნველყოფს სასწავლო შეღეგების მიღწევას. რესურსები შერჩეულია მიზნობრივად და შეესაბამება როგორც თემებსა და საკითხებს, ასევე სამიზნე ცნებებს. გამოყენებულია მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსები — სახელმძღვანელოები, ვიზუალური და გრაფიკული მასალები, პრაქტიკული ინსტრუმენტები, ასევე ციფრული ტექნოლოგიები. მაგალითად, კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეები იყენებენ საზომ ინსტრუმენტებსა და მოდელებს, რაც ხელს უწყობს თეორიის პრაქტიკაში გადატანას. სტატისტიკური პროექტის ფარგლებში გამოყენებული რესურსები (ცხრილები, დიაგრამები, ციფრული პროგრამები)

	ავითარებს მონაცემთა დამუშავებისა და ანალიზის უნარებს. ინტეგრირებულ გაკვეთილში გამოყენებული ტექსტები, ილუსტრაციები და გეომეტრიული მასალა უზრუნველყოფს თემის მრავალმხრივ გააზრებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	კურიკულუმებში გაწერილი როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული შინაარსის თემები და მოწყობილი სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები/ფესტივალები/პრეზენტაციები - (მძლეოსნობა, ფრენბურთი, ფრენბურთი, კალათბურთი, ლაშქრობა, ხელბურთი, პროექტული სწავლება, მოძრავი თამაშები სპორტის სათამაშო სახეობების ელემენტების გამოყენებით), რომელშიც ჩართულია ყველა მოსწავლე, რასაც ადასტურებს მასწავლებელი ინტერვიუს მსვლელობის დროს - იძლევა სწავლების თავისუფალ არჩევანს, თითოეულ ბავშვს აქვს შემოქმედებით პოცესში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობა საკუთარი შესაძლებლობების, ინტერესებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. სასწავლო პროცესში აქტიურად არის გამოყენებული მოსწავლეთა განსხვავებული ხედვები, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებისა და გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიება. სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტი კეთდება ისეთი რესურსების გამოყენებაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეებში განსხავებული უნარ-ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სკოლის პედაგოგის მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს ცოდნის სამივე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) კატეგორიის წარმოდგენას. კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ თეორიული ცოდნის გამოყენებას ფიზიკურ აქტივობებში და მათ გადატანას ახალი აქტივობების შესწავლის პროცესში. მასწავლებელი უზრუნველყოფს მოსწავლეები ცოდნის ორიენტირებას მარტივიდან რთულისაკენ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) განთავსებულია მრავალფეროვანი რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კლასების წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულია სწავლის და სწავლების მიზნის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსები, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები და სხვადასხვა დამხმარე ლიტერატურა, ვიდეოგაკვეთილები, ტელესკოლის გაკვეთილები, სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები, რომლებიც უზრუნველყოფენ კურიკულუმით განსაზღრულ შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ ისინი იცნობენ და საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაში იყენებენ დიფერენცირებული სწავლების მიდგომებსა(მაგ.სასწავლო მენიუ,სასწავლო გაჩერებები,განსხვავებული ამოცანები ქიმიაში,მარტივი ცდები ფიზიკაში და ა.შ.) და მოდიფიცირებულ რესურსებს, მოსწავლეებს ახალისებენ მრავალფეროვან აქტივობებით. იყენებენ განმავითარებელ კომენტარს,რაც ხელს უწყობს მოსწავლის განვითარების პროგრესს და ამაღლებს მის მოტივაციას. ნაკლებად იგრძნობა დიფერენცირებული მიდგომების გამოყენება 1–4 კლასებში, თუმცა პედაგოგები გამოთქვამენ მზაობას,გაზარდონ სასწავლო მენიუსა და სხვა სტრატეგიების ხვედრითი წილი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომები, ვინაიდან სკოლა მცირე კონტინენტიანია და ასევე როგორც პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს არ ყავთ სსსმ მქონე მოსწავლე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, ზოგადად სასწავლო პროცესის ინკლუზიური ხედვას, რაც გულისხმობს გარემოსა და სტრატეგიების იმ სახით ორგანიზებას, რომლის დროსაც გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. ეს ნათლად ჩანს საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილ შემოქმედებით პროდუქტის იდეებში და მრავალმხრივი პროექტების განხორციელებაში.

	ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლას არ ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე. კურიკულუმებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი შემოქმედებითი დავალებები, მასწავლებლებმა გასაუბრებაზე ისაუბრეს მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	მიუხედავად იმისა, რომ მცირეკონტიგენტიან სკოლას არ ჰყავს არც ერთ საფეხურზე სსსმ მოსწავლე გასაუბრებამ ცხადყო, რომ მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება და მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე, დავალების პირობისა და სასწავლო აქტივობის მოდიფიცირებას ახდენენ სწავლის სტილის გათვალისწინებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სასწავლო პროცესი ორგანიზებულია ინკლუზიური განათლების პრინციპების შესაბამისად და უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის აქტიურ ჩართულობას. კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული სწავლების მიდგომები, რაც გულისხმობს დავალებებისა და აქტივობების ადაპტირებას მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და საჭიროებების მიხედვით.მოსწავლეებს ეძლევათ არჩევანის შესაძლებლობა როგორც დავალებების შესრულების ფორმაში, ისე სირთულის დონეში. კომპლექსური და პროექტული დავალებები იძლევა შესაძლებლობას, თითოეულმა მოსწავლემ იმუშაოს საკუთარი ტემპითა და ინტერესების შესაბამისად.მასწავლებლები უზრუნველყოფენ დამატებით მხარდაჭერას საჭიროების შემთხვევაში, რაც ხელს უწყობს თანაბარ ხელმისაწვდომობას განათლებაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლა უზრუნველყოფს ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში სასწავლო პროცესის დიფერენცირებულ და ინკლუზიურ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიდგომებს, რასაც ადასტურებენ სკოლის პედაგოგები იტერვიუს მსვლელობის დროს. ამ ეტაპზე სკოლას არ ყავს სსმ მოსწავლე. საჭიროების შემთხვევაში სკოლა გამოხატავს მზაობას სსმ მოსწავლეებისათვის ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამუშავებასა და მოსწავლეების საჭიროებისადმი მორგებისათვის, რაც ჩაშენებულ იქნება კომპლექსურ დავალებებში, სკოლის საჭიროებების შესწავლის შედეგებიდან გამომდინარე, სკოლა მომავალში მეტად უზრუნველყოფს მოსწავლეების მაქსიმალურ ჩართვას სასწავლო პროცესში. **ატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიების პედაგოგთან გასაუბრებით დადგინდა რომ, დამუშავებული თემების და საკითხების, განვლილი გამოცდილების, მოსწავლეთა შესაძლებლობების, პოტენციალის და საჭიროებების გათვალისწინებით გეგმავს ყოველ მომდევნო სასწავლო წელს. ინტერვიურების დროს ჩანდა მასწავლებლის მზაობა და წინარე გამოცდილება დიფერენცირებულ სწავლებასთან მიმართებაში. მასწავლებლის მიერ წარმოდგენილ დავალებაში, ნათლად ჩანს მოსწავლეთა დიფერენცირება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	გასაუბრებით დასტურდება, რომ პედაგოგები სწავლა-სწავლების პროცესში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ინკლუზიურ/დიფერენცირებულ მიდგომების გამოყენებას. ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, მათ საჭიროებებსა და ინტერესებს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. ხდება კომპლექსური დავალებების მოდიფიცირება მათი შესაძლებლობის ფარგლებში. აქვთ კლასკომპლექტთან მუშაობის გამოცდილება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები პასუხობს სამიზნე ცნებებს და შესაბამისად მიემართება გრძელვადიან შედეგებს. მასწავლებლებთან გასაუბრება და წარმოდგენილი დოკუმენტები ადასტურებს, რომ მათ აქვთ შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება,აგრეთვე ხედვა როგორ მოხდეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების წარმოება. რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ სკოლას აქვს ხედვა გამოიყენოს როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასება სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების დაწყებით საფეხურზე (მე და საზოგადოება ჩვენი საქართველო)ძირითადად გამოიყენება განმავითარებელი შეფასება. თუმცა სკოლას დოკუმენტებში არ ჰქონდა ცნებაზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. სკოლას არ აქვს საბაზო და საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაღვრელი შეფასების მრავალფეროვნი რუბრიკები. ინტერვიუს დროს დადგინდა რომ ყოველი სემესტრისა და სასწავლო წლის ბოლოს კლასის დამრიგებლები და საგნის მასწავლებლები წერენ მოსწავლეთა განმავითარებელ კომენტარებს. დაკვირვების საფუძველზე ადგენენ მოსწავლეთა ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს, რაც გამოიხატება კონსტრუქციული უკუკავშირი. თპედაგოგებს მიეცათ რეკომენდაცია რომ იმუშაონ შეფასების რუბრიკების შექმნაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	მოსწავლეთა შეფასების სისტემა უმეტესად მორგებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. ამას ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი კონკრეტული დავალებების შეფასების კრიტერიუმები. კათედრას აქვს სხვადასხვა ტიპის დავალების შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩო- ცხრილებში შეფასების კრიტერიუმები მორგებულია ცნებებსა და კონკრეტულ შემოქმედებით პროდუქტის იდეას. კათედრაზე ეფექტურად იყენებენ, როგორც განმსაზღვრელ, ასევე, განმავითარებელი შეფასების სტრატეგიას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	კათედრას მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი აქვს სამივე საფეხურზე შეფასების რუბრიკები, რომელებიც ეფუძნება სტანდარტით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსა და შედეგებს. სკოლაში ვიზიტისას მასწავლებლებმა ისაუბრეს მოსწავლეთა შეფასების პრინციპებსა და ინსტრუმენრებზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე მოსწავლის შეფასებისას გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული პრინციპები, მიზნები და ამოცანები. სახელმწიფო ენის პედაგოგებმა წარმოდგინეს როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა	სამივე საფეხურზე მოსწავლის შეფასებისას გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული პრინციპები, მიზნები და ამოცანები. სახელმწიფო ენის პედაგოგებმა წარმოდგინეს როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლას აქვს წარმოდგენილი ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები რომლებიც ეყრდნობა სტანდარტში წარმოდგენილი შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. განმსაზღვრელი შეფასება გაწერილია თემის მიხედვით და მიემართება სამიზნე ცნებებისაკენ. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში განმავითარებელი შეფასების რუბრიკა მიზანმიმართულად გამოიყენება, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერი კომენტარები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებას. მასწავლებლის მიერ გამოყენებული სიტყვიერი კომენტარი გამომდინარეობს თემის ფარგლებში ტექნიკის შესრულების დროს სწორ და ზუსტ მითითებებში თუ როგორ უნდა შესრულდეს კოკრეტულ მომენტში შეთავაზებული ტექნიკა სწორად, რომელიც მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა მორგებული და ორიენტირებული. **ინდიკატორის მოთხოვნა დამაკმაყოფილებელია**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში, წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც პასუხობს სამიზნე ცნებებს და შესაბამისად მიემართება გრძელვადიან შედეგებს. მასწავლებელთან გასაუბრება და წარმოდგენილი დოკუმენტები ადასტურებს, რომ მასწავლებელს აქვს შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება. ჩანს, რომ მასწავლებელს ზოგადად აქვს ხედვა როგორ მოხდეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების წარმოება. რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ სკოლას აქვს ხედვა გამოიყენოს როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასება სწავლის პროცესის გაუმჯობესებისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებული**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილია დაწყებითი კლასების (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, მე და საზოგადოება) განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, როგორც ზოგადი, ისე კონკრეტულ დავალებას მორგებული, რომლებიც ადასტურებს, რომ შეფასება ეყრდნობა საგნობრივი სტანდარტის თემების ფარგლებში მიღწევის ინდიკატორებს.

	ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმი საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასები;
- მე-3 კლასის განმავითარებელი შეფასება;
- მე-5 კლასის განმავითარებელი შეფასება;
- შემაჯამებელი დავალების ნიმუში მე- 6 კლასი, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკით;
- კომპლექსური დავალება მე-5 კლასი;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
- კურიკულუმები 1-ლი ,მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასები;
- მე-5 კლასის განმავითარებელი შეფასება;
- მე- 6 კლასი, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- საგნობრივი კურიკულუმები საფეხურების მიხედვით
- შეფასების რუბრიკები საგნების და საფეხურების მიხედვით
- 11-კლასი პროექტული-ხელოვნება-შემოქმედებითი-დავალება
- 10-კლასი-მუსიკა-შემოქმედებითი დავალება
- კომპლექსური დავალებები შემოქმედებითი პროდუქტი
- პროექტის ხაბელაშვილები ამსახველი დოკუმენტი
- ხაბელაშვილების სკოლა "პროექტი ჩემს გაკვეთილზე"

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული მოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)

o ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმების გაანალიზების შედეგად შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სასწავლო პროცესი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სწავლა-სწავლების პრინციპებს ეფუძნება, რასაც ადასტურებს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია და მასწავლებლებთან გასაუბრება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. საზოგადოებრივი მეცნიერებების (მე და საზოგადოება ჩვენი საქართველო) კურიკულუმებში პედაგოგებს წარმოდგენილი აქვთ შემოქმედებითი დავალებების იდები ნაწილობრივ, სწორედ შემოქმედებით დავალებებზე დაფუძნებით უნდა წარიმართოს სწავლა სწავლების პროცესი სკოლაში, პედაგოგებმა ინტერვიუს დროს თქვეს რომ მოხდება შემუშავებული კურიკულუმების სრულყოფა. ყველა შემოქმედებითი დავალება დაუკავშირდება გრძელვადიან მიზნებს-ცნებებს. სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა შემოქმედებითი პროექტი, გასვლითი ექსკურსიები.

	ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
უცხოური ენები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოში სტანდარტით გათვალისწინებული თემები ისეა აგებული, რომ მოსწავლე ეცნობა შესასწავლ საკითხებს ძირითადი სახელმძღვანელოდან, დამატებითი წყაროებიდან და შერჩეული ელექტრონული რესურსებიდან. თითეული სავალდებულო თემა ჯამდება შემოქმედებითი პროდუქტის იდეით, რომლის განხორციელება იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლემ შეიძინოს ფაქტობრივი ცოდნა, შემდეგ შეასრულოს აქტივობები, რათა შეძლოს შეძენილ ცოდნა გამოიყენოს საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად. აღნიშნული იძლევა იმის მტკიცებულებას, რომ მოსწავლე შეძლებს ცოდნის გამოყენებას კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში. უცხოური ენების კურიკულუმების ჩარჩოს მიხედვით კათედრას დროში გაწერილი გეგმა თუ როგორ განხორციელდება სწავლა-სწავლების პროცესი მთელი სასწავლო წლის განმავლობაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ სამივე საფეხურზე წარმოდგენილ საგნობრივი კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექსტებთან მიმართებით. კათედრას მტკიცებულებების სახით წარმოდგემილი აქვს შემოქმედებითი დავალებების/არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორცილებული აქტივობების ამსახველი დოკუმეტაცია სადაც ჩანს, რომ მოსწავლეები ქმნია საინტერესო შემოქმედებით დავალებებს და სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად. დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი კურიკულუმის შესაბამისადაა დაგეგმილი,აქცენტი კეთდება როგორც სახელმძღვანელოში შერჩეულ,ასევე სავალდებულო თემებსა და საკითხებზე. თემის ფარგლებში შერჩეულია შემოქმედებითი ტიპის დავალებები, სასწავლო პროცესი დაგეგმილია შერჩეული საკითხების გასააზრებლად. განსაზღვრულია სასწავლო პროცესისათვის საჭირო რესურსები და აქტივობები, რაც ასევე გამოიკვეთა გასაუბრებისას. სახელმწიფო ენის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ განხორციელებული აქვთ სასწავლო-შემოქმედებითი პროექტები, მათგან აღსანიშნავია დაწყებით საფეხურზე განხორციელებული პროექტი „წიგნის მეგობარი”,

	და ასევე გრძელვადიანი პროექტი „ადამიანად ყოფნის არსი", რომელშიც მონაწილეობდნენ საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები. პედაგოგებმა დეტალურად ისაუბრეს პროექტის მნიშვნელობასა და არსზე. გარდა ამისა, სკოლაში ფუნქციონირებს შესანიშნავი ბიბლიოთეკა, რომელიც ასევე პროექტის ფარგლებში აღიჭურვა საინტერესო წიგნებითა და მრავალფეროვანი ლიტერატურით. სკოლაში ხშირად ეწყობა ფოლკლორული საღამოები და შემოქმედებითი ლიტერატურულ-კულტურული ღონისძიებები, რომლებშიც მონაწილეობას იღებს მთელი სასკოლო საზოგადოება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სასწავლო პროცესი სრულად არის დაგეგმილი სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად და ეფუძნება მასში განსაზღვრულ სამიზნე ცნებებს, თემებსა და საკითხებს. თითოეული გაკვეთილი და აქტივობა მიზანმიმართულად არის შერჩეული, რათა უზრუნველყოს კონკრეტული სასწავლო შედეგების მიღწევა.კომპლექსური, შემოქმედებითი და ინტეგრირებული დავალებები წარმოადგენს კურიკულუმის ეფექტური განხორციელების ნათელ მაგალითს, რადგან ისინი უზრუნველყოფს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას და მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; მასწავლებლის მიერ შეთავაზებული მრავალფეროვანი თეორიული და პრაქტიკული აქტივობები და რესურსი უზრუნველყოფს შემოქმედებითი უნარების განვითარებას. კურიკულუმებში გაწერილი თემები და მასზე დართული ჰიპერლინკები, - რომლებიც ასახავენ სხვდასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს, ზოგადგანმავითარებელ ვარჯიშებს, მოთელვით ვარჯიშებს და ცხოვრების ჯანსაღ წესს, აგრეთვე მასწავლებლის მიერ დაგეგმილი თეორიული სწავლების დროს მოსწავლეების მიერ შესაქმნელი პროექტები: ჯანსაღი ცხოვრების წესის და ლაშქრობის თემატიკიდან გამომდინარე, - ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ, გონებრივ, ფსიქო-ემოციურ განვითარებას და კეთილდღეობას. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სასწავლო პროცესი ისე არის დაგეგმილი, რომ მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხებს/თემებს, პირობას, პრაქტიკულად ანხორციელებენ შეთავაზებულ კომპლექსურ დავალებებში მოცემულ ტექნიკის შესწავლას და შემდეგ წინარე ცოდნაზე დაშენებით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტივობების გააზრებასა და უკეთ ათვისებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი: შიდა სასკოლო/საკლასო ფესტივალი და შიდა სასკოლო/საკლასო პრეზენტაცია, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით.

	ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში, სასწავლო პროცესი დაეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სასწავლო პროცესი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სწავლა-სწავლების პრინციპებს ეფუძნება, რასაც ადასტურებს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია და მასწავლებელთან გასაუბრება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	გასაუბრებისას კათედრის წევრევმა დაადასტურეს, რომ სასწავლო პროცესი დაწყებით კლასებში დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მიხედვით და სწავლება მიმდინარეობს წარმოდგენილი კურიკულუმების შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში ხდება დავალების შეცვლაც. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

მასწავლებლებთან და სკოლის დირექციასთან გასაუბრების შედეგად შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, ორგანიზებულად მუშაობენ პრობლემაზე და ერთობლივი თანადგომითა და მუშაობით უმკლავდებიან გამოწვევებს.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ დოკუმენტაციაში(მე-5 და მე-6 კლასები) ნაჩვენებია შეფასების რუბრიკების და მექანიზმების განხორციელება სკოლაში და წარმოდგენილია უკვე არსებული შეფასების რუბრიკების ნიმუშები. აღწერის მიხედვით შეფასება უნდა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი. შეფასების რუბრიკები სკოლას აქვს შემუშავებული ასევე სამივე საგანში საბაზო და საშუალო საფეხურზე: ბიოლოგიაში, ქიმიასა და ფიზიკაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ შემუშავებული შეფასების სისტემა არის სანდო, გამჭირვალე, ვალიდური, ობიექტური და სამართლიანი, რომელთა შემუშავებაში მონაწილეობას იღებენ მოსწავლეები. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებში არის რამდენიმე ზოგადი შეფასების რუბრიკა. მოსწავლებისათვის ცნობილა თუ რა კრიტერიუმით ხდება მათი შეფასება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრაზე გამოყენებული შეფასების სისტემა არის სანდო, ვალიდური, გამჭირვალე, ობიექტური და სამართლიანი. რიგ შემთხვევებში ეს ჩანს ჩარჩო ცხრილებშივე შემოქმედებით პროდუქტთან მიმართებით შექმნილ შეფასების რუბრიკებით. ასევე, არსანიშნავია, რომ საგნების მასწავლებლებლები შემაჯამებელ დავალებებს ამოწმებენ წინასწარ შემუშავებული შეფასების სქემებით და შერჩეულ შეფასების რუბრიკებს, რომელთაც აცნობენ მოსწავლეებს, რაც დასტურდება, როგორც გასაუბრებისას მიღებულ ინფორმაციაზე, ასევე, შემაჯამებელი დავალების ნიმუშზე დაყრდნობით. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოჩნდა, რომ ისინი შეფასების ინსტრუმენტის შერჩევისას ითვალისწინებენ: საგანმანათლებლო მიზნებს, სტანდარტის შედეგებს, სამიზნე ცნებებს, მოსწავლეთა ინტერესებს, სწავლის სტილსა და გამოცდილებას. შეფასებისას გამოიყენება როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი დოკუმნეტაცია ცხადჰყოფს, რომ სამივე საფეხურზე საგნების მიხედვით (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება/მუსიკა) შეფასების კრიტერიუმები შემუშავებულია საფეხურის სტანდატრის გათვალისწინებით. კათედრას შემუშავებული აქვს კონკრეტული დავალების შეფასების რუბრიკები. თუმცა სასურველია კათედრამ სამომავლოდ გაითვალისწინოს რამდენიმე რჩევა, რათა შეფასების პროცესი იყის უფრო გამჭირვალე , სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს.შეფასების კრიტერიუმები წინასწარ არის განსაზღვრული და მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომია, რაც უზრუნველყოფს პროცესის სიცხადესა და სანდოობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა	სკოლა გამოირჩევა მოქნილობით და ეფექტურად რეაგირებს სასწავლო პროცესში წარმოქმნილ საჭიროებებზე. მასწავლებლები მუდმივად აკვირდებიან მოსწავლეთა პროგრესს და საჭიროების შემთხვევაში ახდენენ სწავლების პროცესის ადაპტაციას. იცვლება სწავლების მეთოდები, რესურსები და დავალებების ფორმატი, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის საჭიროებების დაკმაყოფილებას. ეს მიდგომა განსაკუთრებით ეფექტურია დიფერენცირებული სწავლების განხორციელებისას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	მასწავლებელი გაკვეთილის წარმართვის დროს აქტიურად იყენებენ განმავითარებელი შეფასებას–სიტყვიერ კომენტარს, კომპლექსური დავალების შეჯამების დროს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ ფიზიკური აღზრდასა და სპორტში მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელ შეფასების რუბრიკას, რომლებიც სრულად აკმაყოფილებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწიებულ საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, რომელისვც არის გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნაჩვენებია შეფასების რუბრიკების და მექანიზმების განხორციელება სკოლაში და წარმოდგენილია უკვე არსებული შეფასების რუბრიკების ნიმუშები. აღწერის მიხედვით შეფასება უნდა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს და დაკმაყოფილებულია დაწყებით საფეხურზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კლასების შეფასების რუბრიკები ვალიდურია, რადგან შესაბამისია საგნობრივ სტანდარტებთან. სანდოა, რადგან წარმოდგენილია შესაბამისი კრიტერიუმებით. სამართლიანია, რადგან შეფასება დამოკიდებულია ობიექტურ შეფასების ინსტრუმენტებზე. გამჭირვალეა, რადგან მოსწავლეებისათვის წინასწარ

	ცნობილია კრიტერიუმები. ყოველივე დასტურდება წარმოდგენილი რუბრიკებით და კათედრის წევრებთან გასაუბრებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას. ვერიფიკაციას სკოლა განახორციელებს სამი მიმართულებით: ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია, მტკიცებულებების ვერიფიკაცია. დოკუმენტის მიხედვით სკოლას განსაზღვრული ჰყავს ვერიფიკაციაზე პასუხისმგებელი პირი/პირები და ფუნქციები. ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს ასევე სკოლის ადმინისტრაცია, ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა მოქმედ სტანდარტებთან, კეთდება უკუკავშირი და საჭიროების შემთხვევევაში ეძლევა რეკომენდაციები. კათედრების მუშაობა ამ კუთხით დასტურდება ოქმებით, სადაც აღწერილია შეფასების კომპონენტები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

კათედრების მიერ მოსწავლეთა ნამუშევარი მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და გაანალიზება ხორციელდება არსებული კომპლექსური დავალებების/შემოქმედებითი პროდუქტების შემაჯამებელი დავალებების მიხედვით. სკოლა ამჟამად აწარმოებს ელექტრონულ ჟურნალს. შეფასებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაციები ინახება მოსწავლის პირად საქმეებში. მოსწავლეთა შეფასების შესახებ სემესტრული და წლიური ინფორმაცია დაცულია და გაიცემა კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლაში არის მოსწავლის მიერ კლასის, საფეხურის დაძლევა/არდაძლევის ბრძანებები, აქედან გამომდინარე ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმი საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასები;
- მე-3 კლასის განმავითარებელი შეფასება;
- მე-5 კლასის განმავითარებელი შეფასება;
- შემაჯამებელი დავალების ნიმუში მე- 6 კლასი, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკით;

- კომპლექსური დავალება მე-5 კლასი;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026;
- კურიკულუმები „ბუნებაში“ მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასები;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დაწყებითი საფეხურის 1-4 კლასებში სახეზეა რესურსების სიმწირე და ერთფეროვნება, მე-5/მე-6 კლასებში დამხმარე რესურსების გამოყენებას უფრო აქტიური სახე აქვს.სასწავლო რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგების მიღწევას. .საბაზო და საშუალო საფეხურის პედაგოგები აქტიურად იყენებენ ისეთ აქტივობებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლის ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში. გაკვეთილები ხალისიანი და საინტერესოა.მატერიალური ლაბორატორიის უქონლობის გამო მოსწავლეები მუშაობენ ვირტუალურ ლაბორატორიაში.უტარდებათ გაკვეთილები ღია სივრცეში. დამატებითი რესურსების სახით ძირითადად იყენებენ PPT-პრეზენტაციებს, მოსწავლეთა მიერ შექმნილ რესურსებს,რომლებიც ხელს უწყობს თანამშრომლობასა და გამოცდილების გაზიარებას, მოსწავლეთა ცნობიერებისა და მოტივაციის ამაღლებას.ფიზიკის პედაგოგი ცდებს ახორციელებს ხელმისაწვდომი მასალების გამოყენებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმებში გაწერილი ძირითადი რესურსები გამოიყენება სასწავლო პროცესში, ძირითად რესურსად წარმოდგენილი არის სახელმძღვანელო, დამატებით რესურსად ინტერნეტ რესურსები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი, რამდენადაც იგი მოიცავს ძირითად გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, მათში მოცემულ დამატებითი მასალების ბმულებს და დამატებით ელექტრონულ რესუსრსებს, რომელებიც მიემართებიან სტანდარტით გათვალისწინებულ სასწავლო თემებს, სამიზნე ცნებებს და შემოქმედებითი პროდუქტების შექმნას. რესურსები განსაზღვრულია კლასებისა და საგნების მიხედვით უშუალოდ საგნის მასწავლებლების მიერ სასწავლო წლის დასაწყისში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ გადმოგზავნილი აქტივობების მიხედვით, ნათლად ჩანს, რომ კათედრა გარდა ძირითადი რესურსებისა, აქტიურად იყენებს დამატებით სასწავლო რესურსებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმებში რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები,ინტერესები,საჭიროებები. ძირითად რესურსად მინიშნებულია გრიფირებული სახელმძღვანელო, იშვიათად გვხვდება ციფრული რესურსები და მაორგანიზებელი სქემები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სასწავლო პროცესში სისტემურად და მიზნობრივად გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე რესურსები. რესურსები შესაბამისობაშია თემებთან, საკითხებთან და სამიზნე ცნებებთან, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიანობას. მათი გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას, მასალის უკეთ გააზრებას და პრაქტიკული უნარების განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	ვინაიდან სკოლას აქვს კომპლექსური დავალებებით მუშაობის გამოცდილება რასაც ადასტურებენ სკოლის მასწავლებლები ინტერვიუს მსვლელობის დროს, სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, გათვალისწინებულია კურიკულუმში თანდართული ჰიპერლინკებისა და გრიფირებული სახელმძღვანელოს გამოყენება. მასწავლებლები ქმნიან ერთგვარ ბანკს და უზიარებენ ერთმანეთს ციფრულ რესურსებს, წინა სასწავლო წლის

	გამოცდილების საფუძველზე შეიმუშავეს კურიკულუმები და ნერგავენ კომპლექსურ დავალებებს, რომლებიც მორგებულია სკოლის მატერიალურ ბაზაზე და ინვენტარზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) განთავსებულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგების მიღწევას. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან და დაკმაყოფილებულია დაწყებით საფეხურზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრის წევრებმა დაადასტურეს, რომ დაწყებითი კლასებში წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულ რესურსებს აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დაწყებითი საფეხურის „ბუნების“ კურიკულუმებში და საბაზო/საშუალო საფეხურის საგნებში: ბიოლოგიის, ქიმიისა და ფიზიკის კურიკულუმებში წარმოდგენილი რესურსები ვალიდურია, შეესაბამება სასწავლო მიზნებს,საგნობრივ სტანდარტს,გათვალისწინებულია მოსწავლეთა საჭიროებები,ასაკობრივი და ფსიქოლოგიური თავისებურებები. რადგან კურიკულუმები განხილულია და დამტკიცებულია სასკოლო სასწავლო გეგმით, აქედან გამომდინარე წარმოდგენილი რესურსები ვალიდურია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სწავლის პროცესის ეფექტიანობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, სკოლის ახორციელებს დამხმარე სასწავლო რესურსების სისტემურ ვალიდაციას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრებზე ურთიერთშეთანხმებულად ხდება დამხმარე სასწავლო რესურსების არჩევა/გამოყენება. აღნიშნული რესურსები მოიცავს ასაკის მიხედვით შერჩეულ დამხმარე ლიტერატურას, მასწავლებლების მიერ წინასწარ შერჩეულ ელექტრონულ რესუსრსებს და მასწავლებლის წიგნში მითითებული დამატებითი რესურსებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ სამივე საფეხურზე წარმოდგენილი რესურსები სრულად შეესაბამება სასწავლო მიზნებს, ამასთან, უმრავლეს შემთხვევაში ძირითად რესურსად სახელმძრვანელოებია მითითებული. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	რესურსები შერჩეულია კათედრის წევრების მიერ და მისი მიზნობრივი გამოყენება განხილულია კათედრის სხდომაზე. ყოველივე ეს ცხადყოფს რესურსების ვალიდაციას. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან რესურსებს შესაძლებლობის ფარგლებში, როგორც საგაკვეთილო პროცესში, ასევე პროექტების განხორციელების დროს. სკოლას აქვს მზაობა უზრუნველყოს ახალი დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაცია შესაბამისი წესით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლა უზრუნველყოფს გამოყენებული რესურსების ხარისხის კონტროლსა და შესაბამისობას სასწავლო მიზნებთან. დამხმარე რესურსები წინასწარ არის შერჩეული და გადამოწმებული, რათა მაქსიმალურად ეფექტურად იყოს გამოყენებული სასწავლო პროცესში. ეს უზრუნველყოფს სანდო და ხარისხიან სასწავლო გარემოს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლაში შექმნილია მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული სასწავლო გარემო, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ კურიკულუმებში ჩაშენებული ჰიპერლინკები არის სასწავლო თემის შესაბამისი და ვალიდური. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) წარმოდგენილი სასწავლო რესურსი ვალიდურია, რადან შეესაბამება სასწავლო მიზნებს, საგნობრივ სტანდარტებს და მოსწავლეთა საჭიროებებს. რადგან კურიკულუმები განხილულია და დამტკიცებულია სასკოლო სასწავლო გეგმით, აქედან გამომდინარე წარმოდგენილი რესურსები ვალიდურია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	პედაგოგებმა გასაუბრების პროცესში აღნიშნეს, რომ ძირითადად სარგებლობენ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით, მაგრამ სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ სხვადასხვა დამხმარე რესურსებს, რომლის ვალიდაციას ახორციელებენ კათედრაზე, სადაც მოწმდება ესა თუ ის რესურსი შეესაბამება თუ არა ესგ-ით საგნობრივი სტანდარტით განსაზღრულ მოთხოვნებს, ეხმარება თუ არა მოსწავლეს სტანდარტში წარმოდგენილი მიზნების მიღწევაში და აკმაყოფილებს თუ არა მოთხოვნებს, როგორიცაა მოსწავლეზე ორიენტირება, მათ საჭიროებაზე მორგება, მათი შესაძლებლობებისა და უნარების გათვალისწინება და ა შ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.
ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია,თვალსაჩინოებების რაოდენობა მწირია,მასწავლებლები ძირითადად იყენებენ მოსწავლეების მიერ წინა წლებში შექმნილი შემოქმედებითი დავალებების პროდუქტებს მატერიალური რესურსის სახით. სკოლას შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქვს ვადები საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობის. **რეკომენდაცია:** სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა.

	ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა აღჭურვილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	მასწავლებლებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. მოსწავლეებს თანაბრად შეუძლიათ გამოიყენონ საჭირო რესურსები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოგდენილი მტკიცებულებებიდან შესაძლებელია დავსკვნათ, რომ სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში/მუსიკაში/პროექტულ სწავლებაში სამივე საფეხურზე (დაწყებითი,საბაზო, საშუალო) სასწავლო შედეგები და შემოქმედებითი პროცესები უზრუნველყოფილია მატერიალური რესურსით ასევე სკოლა სრულიად უზრუნველყოფს მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის დაკმაყოფილებას მატერიალური რესურსით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	მასწავლებლებთან საუბრისას გამოიკვეთა,რომ სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით.მოსწავლეებს შეუძლიათ საკუთარი ინტერესების შესაბამისად გამოიყენონ რესურსები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლა უზრუნველყოფს შესაბამის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, რომელიც სრულად შეესაბამება კურიკულუმის მოთხოვნებს. გათვალისწინებულია როგორც სასწავლო სივრცის ორგანიზება, ისე მოსწავლეთა რაოდენობა, რაც ქმნის კომფორტულ და ეფექტურ სასწავლო გარემოს. მოსწავლეებს აქვთ წვდომა საჭირო რესურსებზე, რაც უზრუნველყოფს სასწავლო შედეგების მიღწევას და სასწავლო პროცესის მაღალ ხარისხს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

სპორტი	სკოლაში მოსწავლეთა მღვრული რაოდენობა განსაზღვრულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ინვენტარი და დამხმარე მასალები შეესაბამება მოსწავლეთა რაოდენობას, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის გეგმაზომიერად განხორციელებას. სკოლას გააჩნია დახურული დარბაზი და კურიკულუმში გაწერილი თემების შესაბამისი მატერიალური რესურსი, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება სასწავლო გეგმით განსაზღვრული თემები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებული კომპიუტერების რაოდენობა შეესაბამება კლასში მოსწავლეთა რაოდენობას. კომპიუტერების რაოდენობა საკმარისია იმისთვის, რომ საგაკვეთილო პროცესი მიმდინარეობდეს სრულფასოვნად. ყველა კლასი სარგებლობს კომპიუტერული ლაბორატორიით, თუმცა მოსწავლეები ასევე იყენებენ ბუკებს სხვადასხვა დავალებების შესასრულებლად სხვა საგნებში. სკოლამ წარმოადგინა ციფრული განვითარების გეგმა, რომელიც არის სრულად ხელოვნური ინტელექტის მიერ შექმნილი პროდუქტი, არ არის მორგებული სკოლის საჭიროებებსა და სკოლის რეალობას. ეს დოკუმენტი ვერ ჩაითვლება სკოლის ციფრული განვითარების გეგმად. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან და დაკმაყოფილებულია დაწყებით საფეხურზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლა აქვს საკმარისი მატერიალური რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის საჭირო რესურსებზე წვდომას. ყოველივე წარმოდგენილია სკოლის მიერ შესაბამისი დოკუმენტებით და დაადასტურეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროსაც. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სკოლას ჰყავს საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისი ადამიანური რესურსის ნაწილი, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმის ეფექტიან განხორციელებას. მასწავლებლები და სხვა თანამშრომლების ძირითადი ნაწილი აკმაყოფილებენ კვალიფიკაციის, საგნობრივი სტანდარტებისა და სერტიფიცირების მოთხოვნებს, რაც აუცილებელია სასწავლო პროცესის ხარისხიანად დასაგეგმად და განსახორციელებლად, თუმცა სკოლაში

დაწყებითი საფეხურის 1 მასწავლებელი არის უსტატუსო. 2 მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები არ შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, სკოლა პერიოდულად აცხადებს ვაკანსიას მოცემულ პოზიციებზე.

სკოლაში სამი საგნის მასწავლებელს დაწყებით საფეხურზე, (მუსიკა, ისტი და მათემატიკა) არ ქონდათ დადასტურებული საგნობრივი კომპეტენციები, რაც არ შეესაბამება ინდიკატორ 2.2.2.4-ის მოთხოვნებს.

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმი საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასები;
- კათედრის ოქმი N1;
- კათედრის ოქმი N2;
- კათედრის ოქმი მეორე სემესტრი;
- კათედრის სამოქმედო გეგმა;
- ფოტო კომპიუტერული ლაბორატორია;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026;
- ვერიფიკაციის მექანიზმის ინსტრუქცია;
- პროექტები;
- პედაგოგთა რეფლექსიები;
- მოსწავლეთა ნამუშევრები;
- ფოტომასალა;
- შემოქმედებითი ტიპის დავალების ბარათები;
- თემატური მატრიცები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული მოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის მეთოდოლოგიის მიხედვით გაწერილია ყველა ის პროცედურა, რომლითაც უზრუნველყოფილია კურიკულუმის შემუშავება, განხორციელება და მონიტორინგი. კათედრებზე არის მაღალი თანამშრომლობითი კულტურა, პედაგოგები კურკულუმის შექმნის პროცესში იზიარებენ ერთმანეთის მოსაზრებებსა და არსებულ გამოცდილებას. შესწავლილი სასკოლო დოკუმენტებით ირკვევა, რომ სკოლას აქვს მზაობა განახორციელოს კურიკულუმების მონიტორინგი, ანალიზი და შეფასება, რასაც კათედრები საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში გააკეთებენ. როგორც სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაშია აღნიშნული მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, სასწავლო პროცესების ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად. მონტორინგის მიზანია გაირკვეს, მიმდინარეობს თუ არა სასწავლო პროცესი დაგეგმილის შესაბამისად. აქვს თუ არა პროცესებს სასკოლო საზოგადოების მოლოდინების შესაბამისი შედეგი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სკოლას გააზრებული აქვს მონიტორინგისა და შეფასების მნიშვნელობა პრობლემების გადასაჭრელად. ეს საკითხი აღწერილია კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში. დოკუმენტის მიხედვით მასწავლებლები, ადმინისტრაციის თანამშრომლები ვალდებულნი არიან ერთმანეთს გაუზიარონ მიღწევები, მიმდინარეობს თუ არა დაგეგმილის შესაბამისად სასწავლო პროცესი, რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები შედეგს, არსებული პრობლემების გადასაჭრელად კი განიხილონ ინოვაციური მიდგომები. ასევე კათედრებზე მოსწავლეთა ნამუშევრების გაანალიზებით ადგენენ პრობლემას და იგეგმება ინტერვენციის გზები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. ეს დადასტურებულია კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში. ვინაიდან სასკოლო საზოგადოების ინტერესის სფეროს წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი და შეფასება, ამიტომ თითოეული მოსწავლის წინაშე არსებული გამოწვევები საჭიროებს განხილვასა და დახმარებას. სკოლას აქვს მზაობა მომავალი სასწავლო წლიდან განსაზღვროს ჯგუფი, რომელიც მოახდენს კურიკულუმების გადახედვას, თუ რამდენადაა შესაბამისი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, გაანალიზდება მიღწევები, ხარვეზები და გაიცემა რეკომენდაციები საჭირო ცვლილებებთან დაკავშირებით. კათედრების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ სკოლას აქვს ხედვა, თუ რა გზითა და საშუალებებით განახორციელებს მონიტორინგსა და შეფასებას სასწავლო პროცესში ისე, რომ იგი დახმარებასა და მხარდაჭერაზე იყოს ორიენტირებული. კურიკულუმის მეთოდოლოგიაში გაწერილია მის შემუშავებაში მონაწილე პირების ფუნქციები, რაც მოიაზრებს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგია;
- კათედრის ოქმები;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს

სკოლა იყენებს, როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას და ეყრდნობა მრავალფეროვან დავალებებსა და მოსწავლეთა უნარ-ჩვევების შეფასებასა თუ განვითარებას. განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში, განმავითარებელი შეფასება კი ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. სკოლა საგნობრივი კურიკულუმებიდან გამომდინარე მეტ-ნაკლებად ახორციელებს მოსწავლეების ჰოლისტურ შეფასებას, რაც გულისხმობს მათ შეფასებას მეტაკოგნიტურ, პიროვნულ, ფსიქიკურ, ფიზიკურ თუ სხვა უნარების გათვალისწინებით. სვხადასხვა ექსპერტის მიერ გასაუბრების დროს გაიცა რჩევები და რეკომენდაციები შეფასების რუბრიკებთან დაკავშირებით, კონკრეტულად მასწავლებლებს შეექმნათ სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკები, მასწავლებლებმა გამოხატეს მზაობა და აღნიშნეს, რომ სამომავლოდ აუცილებლად გაითვალისწინებდნენ აღნიშნულს. მოსწავლეების შეფასება არ არის ორიენტირებული მხოლოდ კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტის შეფასებაზე, არამედ, მოსწავლის შეფასება ხდება კომპლექსური დავალების მიმდინარეობის დროს, სხვადასხვა აქტივობების საშუალებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია..

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

კათედრები იყენებენ შეფასების სხვადასხვა ფორმას (დიაგნოსტიკა, შეფასების რუბრიკები), რაც საშუალებას აძლევთ დაინახონ შედეგი და დაგეგმონ საჭირო მიდგომები აღმოჩენილი პრობლემების აღმოსაფხვრელად, კერძოდ, ითვალისწინებენ, რა გაუჭირდათ მოსწავლეებს და როგორ შეიძლება საკითხის გამარტივება ისე, რომ საგაკვეთილო პროცესი არ იყოს დამთრგუნველი და სწავლა- სწავლების პროცესი წარიმართოს ხალისით. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა კომპლექსურია და მოიცავს ბევრ სხვადასხვა მიმართულებას. მოსწავლე არ ფასდება ცალსახად მხოლოდ მის მიერ გამოვლენილი ცოდნის საფუძველზე, არამედ ხდება სხვა ბევრი ფაქტორის გათვალისწინებითაც. საგაკვეთილო პროცესი წარიმართება სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით: წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური, პრეზენტაცია.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

შეფასებისას მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები, რომლებიც წარმოადგინა სკოლამ საშუალებას იძლევა გავიგოთ მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა აზრი სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით. საგნობრივ ექსპერტებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა მასწავლებლების მხრიდან, რომ ყოველი სემესტრისა და სასწავლო წლის ბოლოს კლასის დამრიგებლები და საგნის მასწავლებლები წერენ შედეგებს დაკვირვების საფუძველზე ადგენენ ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს. მოსწავლეთა აქტუალური ცოდნის დონის მიხედვით გეგმავენ სასწავლო პროცესს. მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები იძლევა საშუალებას შეფასების პროცესში მოსწავლეებიც ჩაერთონ, თანაც ისე, რომ მათთვის საინტერესო და სახალისო აქტივობა სკოლის თემისთვისაც სასარგებლო გახდეს. კათედრები აქტიურად იყენებენ დიაგნოსტიკურ ტესტებს, რომელიც ეხმარებათ როგორც შედეგის დანახვაში, ასევე პრობლემის აღმოჩენასა და მომავალში ახალი მიდგომებისა და სტრატეგიების დაგეგმვაში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები ადასტურებს, რომ შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, მოსწავლეთა შეფასებისას გასათვალისწინებელია მოსწავლეზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორი–მოვლენა, სიტუაცია, როგორებიცაა აკადემიური უნარები, აზროვნებისა და დასაბუთების უნარ– ჩვევები და კომუნიკაციის ზოგადი უნარ–ჩვევები. კათედრები, დამრიგებლები მუშაობენ მშობლებთან, სწავლობენ თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, მიდრეკილებებს და ითვალისწინებენ მოსწავლეთა ემოციურ, ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ მდგომარეობას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- კათედრის ოქმები;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ–ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)

o ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლას გააზრებული აქვს, რომ მომავალი სასწავლო წლიდან აუცილებელი იქნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარადაჭერის სარეკომენდაციო პაკეტის შექმნა, კურიკულუმებთან დაკავშირებით მიღებული საგნობრივი ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციები დამაფიქრებელი და საინტერესო იყო მასწავლებლებისთვის, სკოლას აქვს მზაობა სასწავლო წლის ბოლოს გადახედონ კურიკულუმებს, გაანალიზონ ძლიერი და სუსტი მხარეები, მომავალი სასწავლო წლისთვის კათედრები გეგმავენ ერთობლივი მუშაობითა და თანამშრომლობით შექმნან კურიკულუმების გადამუშავებული ვერსიები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სკოლას გააზრებული აქვს, რომ კათედრა კურიკულუმის განვითარების პროცესში უნდა დაეყრდნოს წინარე გამოცდილებას და გაითვალისწინოს მონიტორინგისა და შეფასების შედეგები. როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა მასწავლებლები კათედრის შეხვედრის ფარგლებში განიხილავენ მიღწეულ შედეგებს, გაანალიზებენ კომპლექსური დავალებების მიზნებსა და მიღწეულ შედეგებს/სხვაობებს, შემდეგ კი ახალი კურიკულუმის დაგეგმვის დროს გითვალისწინებენ აღნიშნულს და სამომავლოდ შექმნიან კურიკულუმების გადამუშავებულ ვერსიებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული მოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

თარიღი 19.05.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თამარ სურმანიძე

ქეთევან ბერიძე

კობა დეკანაძე

ნანა შალამბერიძე

თეა ნინუა

სოფიო გელაშვილი

ჯოჯიშვილი

მინდია მაცაბერიძე

მარინე ჩიტაძე

ნონა გორგილაძე